


16 ივლისი, 1981 წ.

„ხარს ვგვევარ ნაიალადარს, რაით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდღუღუნებ.“ (ვაჟა)



თავისუფლება



825 / 2
1981

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო
გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA
Journal périodique en langue géorgienne

№33 PARIS JUIN 1981 ივნისი პარიზი №33

გამოცემის მეშვიდე წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 1918 - 1981, — ისევ და ისევ ჩვენი ოცდაექვსი მაისი მოწინავე
- .4 26 მაისი კალიფორნიაში დამსწრე
- .5 26 მაისობა პარიზში და სხვაგან
- .6 საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი — ბატონი ფრანსუა მიტერანი
- .9 საერთაშორისო ტერორი:
- ა) ხელყოფა პრეზიდენტ რ. რეიგანის სიცოცხლეზე
- ბ) ხელყოფა რომის პაპის სიცოცხლეზე
- გ) ბომბის აფეთქება რადიო „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლებაში“
- .10 ჩრდილოეთ ირლანდიის ტრაგედია გ. პერვესელი
- .14 რუსეთის კომუნისტური სამოთხე (დასასრული) დავით ვაშაძე
- .17 აკადემიკოს ანდრეი სახაროვის 60 წლის იუბილე გრიგოლ წერეთელი
- .19 გამომხატურებები სამშობლოს ამბებზე
- 1) თებერვალი მაისში ლუბაშვილი
- .20 2) გაზეთ „რუსკაია მისლის“ ორი წერილი:
- ა) „საქართველოში მომხდარი უკანასკნელი ამბები“
- ბ) „ცნობები საქართველოდან“
- .22 3) ლითობასთან ბრძოლის საკითხზე შალვა კალანდაძე
- .23 სამგლოვიარო განცხადებები
- .24 რუდოლფ კარმანი (ნეკროლოგი) ილია კუჭუხიძე
- .25 არჩილ გომართელის კეთილი ხსოვნისა რედაქცია
- .26 ერთი ლექსი † არჩილ გომართელი



1918 - 1981

ისეც და ისეც ჩვენი 26 მაისი

ლტოლელობაში ჩვენი ეროვნული დარაზმვა სამი მთავარი თარიღის ირგვლივ წარმოებდა ყოველთვის. პირველია გლოვის 25 თებერვალი, რომელიც მოგვაგონებს ჩვენს სამშობლოს უდიდეს ტრაგედიას, საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობას 1921 წლის თებერვალ-მარტში, მეორეა 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყება, რომელიც კულმინაციური წერტილია ქართველი ხალხის სამხანგვარი წლის შეუპოვარი და უწყვეტი ბრძოლებისა, მის დამპყრობელ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ, მესამე და მთავარი თარიღია 26 მაისი, რომელიც მოგვაგონებს 1918 წლის 26 მაისის დღეს, როცა ქართველმა ხალხმა საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა თავისი ნება-სურვილი და გადაწყვეტილება გამოსულიყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან და შეექმნა დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი ქართული სახელმწიფო, სამივე ეს თარიღი მჭიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული, პირველი ორი მოვლენის დროსა მესამეა, პირველი იცავს ოცდაექვსი მაისის საქართველოს, მეორე კი ცდაა ოცდაექვსი მაისის საქართველოს გადღვის, ის დროსა, 26 მაისის დროსა, უკვე თაობებმა ატარეს, დიდი მსხვერპლი აიღეს მისთვის და ჩვენ გადმოგვცეს. ჩვენი საპატიო ვალია, თუ მას გამარჯვების დიდებით ვერ დავამშვენებთ, დაუხრელად გადავცეთ ჩვენს მომყოლ თაობას.

26 მაისი ქართველი ერის ცხოველმყოფელობის სიმბოლოა, ის ჩვენი ყიბლანაა, რომელიც ამ აზვირთებულ ცხოვრების ტალღებზე მცურავთ ნავთსაყუდელის გეზს გვანიშნებს. ამიტომ, უამიდან-უამად, ყოველწლიურად ვუბრუნდებით მას, მას გუნდრუტს ვუკმევთ და ვადიდებთ.

იქნებ ვინმემ იკითხოს: რატომ მაინცდამაინც 26 მაისი? 1918 წლის 26 მაისის საფუძველჩაყრილმა საქ-ს სახელმწიფომ სრული სამი წელიწადიც კი ვერ გაძლო, მაშინ, როცა ქართველ ხალხს გააჩნია სხვა ბევრად უფრო სასახლო თარიღები თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიან. მაგალითად, დედაქალაქ მცხეთის და ქართლის სამეფოს დაარსება 2500 წლის წინად, რომელმაც დასაბამი დაუდგა ქართველ ტომების შემოკრებას, ერთი ქართული ენისა და კულტურის შექმნასა და განვრცობას, ქართველი ტომებისაგან ქართველი ერის ჩამოყალიბებას, ან კიდევ, ბაგრატიონების დინასტიის დასაწყისი, რომელიც მეცხრე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული სათავეში ექცევა სარკინოზთაგან ქართველთა მიწა-წყლის განთავისუფლებას და ერთ სამეფოდ შემოკრებას. მეფერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა განმავლობაში, ბაგრატიონებმა ერთ მძლავრ სახელმწიფოდ შეკრეს არა მარტო მთელი საქართველო, არამედ მთელი კავკასიაც, რომელმაც, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის წყალობით, მიადწია განუყოფელ პოლიტიკურ სიძლიერეს, ეკონომიურ აღმავლობას და კულტურულ აყვავებას მთელი მეთორმეტე საუკუნისა და მეცამეტეს პირველ მეოთხედშიც.

ლიახ, ეს ყველაფერი მართალია და ჩვენ სამართლიანად გვეამაყება ჩვენი ერის ასეთი ბრწყინვალე და დიდებული წარსული. იგი გვაიმედებს მომავალზედაც, რადგანაც ისაა უტყუარი მოწმე ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ნიჭის, უნარის, ენერჯის და მამაცობა-შემართებისა, მაგრამ ამაჟამად ჩვენი ეროვნული მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად ის ძველი თარიღები აღარ გამოდგებიან. მასუკან დიდი დრო გავიდა. მის შემდეგ გაჰქარა და გადაშენდა მრავალი სახელმწიფო და ერი, იშვენეს ახალნი. ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა თვით ქართველი ხალხის ცხოვრებაშიც. მანამდე უძლეული ქართული ლაშქარი იძლია ჯერ ჯალალედინის ხვარაზმელთაგან, შემდეგ მონგოლთაგან. მონგოლების დასუსტების შემდეგ, საქართველოს დაუძინებელი მტერი გახდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით სპარსეთი, სამხრეთ-დასავლეთით თურქეთი. ქართველთა მთლიანობა ხლდახლდა დიორღვა, საქათველო დანაწილდა პატარა სამეფოებად და სამთავროებად.

ქართველი ხალხი რიცხობრივად შემცირდა, გადაირბდა, კულტურულად და ტექნიკურად



ჩამორჩა... ქართველმა მეფე-მთავრებმა, რომელთაც ეკლესიის შესწავლებები ამ საქმეში აქვებდნენ, მაჰმადიანური საფრთხიდან სარწმუნოებისა და ერის გადასარჩენად, იმ დროს არსებულ ერთადერთ რეალურ მხსნელ ძალას—ჩრდილოეთში გაძლიერებულ მოსკოვის სამეფოს—მიმართეს დასახმარებლად. შედეგი ცნობილია: ცარიტული რუსეთის მთავრობამ, მოხერხებულად ისარგებლა ქართველი ხალხის დაქსაქსულობით, უმწურო საგარეო მდგომარეობით, რომელსაც ის შენიღბულად კიდევ უფრო ამწვავებდა, და შინაური აშლილობით, ერთმეორეზე მიყოლებით დაიპყრო ქართული სამეფო-სამთავროები და განუყოფელ ნაწილად შეუერთა რუსეთის ვრცელ სამეფოს. დასახმარებლად მოწვეულმა რუსებმა დაიანხეს ბაგრატიონების ათასწლოვანი ტახტი, ქართველი ხალხის თვითხელმწიფება, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, ქართული ენისა და ქართული კულტურის ბატონობა. საქართველოს სახელი წაიშალა მსოფლიოს რუკიდან. ქართველი სინონიმი გახდა რუსის... ამრიგად, რუსეთის „მეგობრობა“ კიდევ უფრო დამლუბველი გახდა ჩვენი ერისთვის, ვიდრე სპარს-ოსმალთა მტრობა. ეს „მეგობრობა“ გაგრძელდა 117 წლის განმავლობაში, ქართველი ერის მზე თითქოს ნელ-ნელა სამუდამოდ ესვენებოდა...

მაგრამ ქართული ეროვნული სული ცხოველყოფილი გამოდგა, ის მაინც გადაურჩა გარუსებას და როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ქართველმა ხალხმა კვლავ აღადგინა თავისი დამოუკიდებელი და სრულუფლებოვანი სახელმწიფო. ეს სახელმწიფო გახლდათ საქ-ს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც შემოკრბა მთელი საქართველო: ამერეთი და იმერეთი, საქ-ს მთა და საქ-ს ბარი. ეს აღარ იყო ძველი, თავდაზნაურების და მეფე-მთავრების საქართველო, არამედ ერთი და იგივე უფლებებისა და მოვალეობების მქონე თავისუფალი მოქალაქეთა საქართველო, რომელსაც განაგებდნენ საქ-ს მცხოვრებთა მიერ დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლები.

უდავოა: საქ. ამ განახლებული სახელმწიფოს საფუძვლების ჩაყარაში და შენებაში ერთსულოვნად და მხურვალედ მონაწილეობდა მთელი ქართველი ხალხი, მისი ყველა საზოგადოებრივი ფენა, კლასი თუ პარტია, გარდა უმინიშენლო რიცხვი ბოლშევიკებისა. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც წინააღმდეგს დაპატიჟებულ, ცდილობს დაშალოს ის ბოროტები, რომელიც მან ჩაიდინა მთელი ქართველი ხალხის მიმართ. ეს უპატიებელი ბოროტება იყო, როცა მან ჩვენს ქვეყანას უმიზეზოდ და ქურდულად შემოუსია თავისი ჯარები, რომლებმაც უხეშად გადათელეს როგორც სამშობლოს დამცველ ვაჟაკთა გვამები, ისე სრულუფლებიანი საქართველოს სახელმწიფოც და ქართველ ხალხს მოუსპეს თავისუფალი, ბუნებრივი განვითარების საშუალება.

1921 წლის თებერვალ-მარტიდან მოყოლებული ქართველი ხალხი იბრძოდა და იბრძვის საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ მის მიმართ ჩადენილ ბოროტების წინააღმდეგ, ძალით წართმეულ უფლებების აღდგენისათვის, 26 მაისის საქართველოს აღდგენისათვის. 26 მაისის დროშის შეეწირა ურიცხვი მამულიშვილი. 26 მაისის აქტი შექმნილი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ჩარჩოები დღესაც კიდევ ძალაშია და ისინი შეიძლება კვლავ გამოიღვენ საბჭოთა რუსეთის მძლავრობიდან განთავისუფლებულ საქართველოსათვის. აი ამიტომ, ასე ერთგულად ვზეიმობთ 26 მაისობას და ეს ასეც უნდა გაგრძელდეს მომავალში, განსაკუთრებით მანამ, სანამ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

საუბედუროდ, ჩვენი ქვეყნის სასტიკმა მპყრობელებმა შეძლეს შეუძლებელი გახებად ამ ჩვენი ეროვნული დღესასწაულის ზეიმობა თვით საქ-ს მიწა-წყალზე და ოცდაექვსმა მაისობამ, დროებით, ჩვენთან ერთად თავი შეაფარა ლტოვილობას. ჩვენი მამულიშვილური ვალია ვუერთგულოთ მას აქ-უცხო მიწაზე, ვადვიოთ, რომ შემდეგ მოგიზიგივებ გადავცეთ ჩვენ ხალხს, ჩვენ ქვეყანაში.

1979 წლის მაისობისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში(„თ.ტ.“ №25) ჩვენ ვწერდით: „გადამოხვეწილობაში სამი ქართველიც კი თუ ერთმანეთის მახლობლად ცხოვრობს, ამ თარიღისადმი მიძღვნილი დღე ერთად უნდა იზეიმონ და მასში საქართველოს უცხოელ მეგობრებსაც წილი დაადებინონ. ამ დღისადმი გულგრილობა ნიშნავს ცუდ, ძალიან ცუდ მამულიშვილობას.

რაც შეეხება სამშობლოს, დროა იქაც დაითრგუნოს შიში, თუ აშკარად ვერა,

ფარულად მაინც ეს დღესასწაული უნდა ხელახლად გადაიქცეს ქვემარტ მამულიშვილო-თა შეკრების და ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროშად დაუკარგავად ლოდ.

ვგვიმოთ რა 26 მაისს, მოვითხოვთ რა 26 მაისის საქ-ს აღდგენას, ეს სრულგებთ არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურდეს, რომ ჩვენ მოწადინებული ვიყოთ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდეს ქართველ ხალხს თავს მოვახვიოთ ესა თუ ის რეჟიმი, ესა თუ ის მართველობა, ესა თუ ის პარტია, არამედ ეს ნიშნავს, რომ საქართველოდან უნდა ამოიკვეთოს უცხო ერის, ამ შემთხვევაში რუსი ერის და სახელმწიფოს ბატონობა, რომ კვლავ უნდა აღსდგეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რომელსაც გაუძღვება ქართველი ერის ნდობით აღჭურვილი ადამიანები, დემოკრატიულად არჩეული, სრულ პოლიტიკურ თავისუფლების პირობებში.“

ეს სიტყვები ძალაში რჩება დღესაც.

გაუმარჯოს 26 მაისის საქართველოს!

დიდება და დღეგრძელობა ქართველ ერს!

26 მაისი კალიფორნიაში

დამორებული ქართული ემიგრაციის მთავარ ცენტრებს, პარიზსა და ნიუიორკს, კალიფორნიის ქართულმა საზოგადოებამ პირველად გადაიხადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, 26 მაისი. ეს მოხდა კვირას, 31 მაისს, ქალაქ სანტა როზაში.

ხეცებითა და ტყით შემოვლებულ გორაზე ჩვენმა თანამემამულემ ექიმმა მირიან გლავშილმა ააშენა მშვენიერი სასახლე, სასახლე, საშუალო საუკუნეების -ფეოდალებსაც რომ შემურდებოდათ. ოთხივე მხრიდან ის გადასცქერის კალიფორნიის მშვენიერ პანორამას. დღე იყო ნათელი და მზიანი. დღე ვარდობისა. აქ შეიკრიბა ჩვენი საზოგადოება 26 მაისის საზეიმოდ. მას ესწრებოდა 50 ადამიანი სტუმრებთან ერთად და, რომელიც დამთავრდა ნაღიმითა და ჩეხულერბით ქართული მოღვენიით...

საზეიმო კრება გახსნა საზოგადოების უხუცესმა წევრმა ალ. სულხანიშვილმა მცირე შესავალი სიტყვით. შემდეგ ალ. მანველიშვილმა წაიკითხა მოხსენება, რომელმაც დაწვრილებით მოგვითხრო მთელი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში. თუ როგორ მზადდებოდა ნიადაგი საქ-ს დამოუკიდებლობის აღდგენისა, როგორ დაიბადა 26 მაისი. მოხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი: „სანამ ისტორიული ფაქტებით ნათელს ვყოფდეთ, თავშივე უნდა აღვნიშნო ორი უდავო ქვემარტება, რომლებიც ჩვენმა დამპყრობელმა გააყალბა და სამწუხაროდ ამ სიყალბეს დიდ ხანს საქმეში ჩაუხედავი ზოგიერთი ქართველიც იმეორებდა. რუსებმა შექმნეს ლეგენდა, თითქოს საქ. თავის ნებით შეუერთდა რუსეთს. ერის და სახელმწიფოს ასეთ თვით-მკვლელობას მსოფლიო ისტორია არ იცნობს. საქ. რუსეთს არ შეერთებია. რუსეთმა მას ნაწილ-ნაწილ ოკუპაცია მოუხდინა და რუსეთის პრაგინციად გამოაცხადა, შემდეგ კი შეუდგა მის სრულ გარუსებასა და გადაგვარებას.

მეორე სიყალბე შეეხება ისტორიული ფაქტების წინაშე თვალების დახუჭვას. თითქოს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი არ მოითხოვდა მის დამოუკიდებლობას. სინამდვილეში მთელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ბრძოლის ისტორია თავისუფლებისათვის...“

და ბოლოს კიდევ ერთი ქვემარტება უნდა დავუმატოთ. ლენინმა საქ-სთან დადებულ ხელშეკრულებაში განაცხადა, რომ ის სამუდამოდ ხელს იღებს რუსეთის სუვერენულ უფლებებზე საქ-ს მიმართ.(და ისიც ხომ ვიცით თუ როგორ აიღო ხელი!) ორი გამოჩენილი ევროპელი იურისტი: ნიპოლდი და ლე ფიური ამტკიცებენ, რომ საქართველო იურიდიულად მუდამ დარჩა დამოუკიდებელი. ის იყო მხოლოდ რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. ხოლო ოკუპაციის დრო ვერ სპობს მის სუვერენულ უფლებას. ამიტომ სრულიად სპარტლიანი იქნება ვთქვათ, რომ 26 მაისს ჩვენ ადვადგინეთ ჩვენი დამოუკი-



დებლობა ფაქტიურად.

დაბოლოს, მომხსენებელმა მოზოდიშებით დაასკვნა: „მეგობრებო, მანატიეთ, ჩვენი განთავისუფლების ამ საზეიმო დღეს, სამგლოვიარო დღეც მოვიხსენიოთ, რადგან საშუალება არ გვქონდა ცალკე აღგვენიშნა საქ-ს მეორედ დაპყრობის 60 წლისთავი.

ბოლშევიკურმა რუსეთმა, მიუხედავად ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებისა, რითაც ის ცნობდა ჩვენს დამოუკიდებლობას, 1921 წლის თებერვალში ქურდულად შემოგვესია და ექვსი კვირის ბრძოლის შემდეგ საქ. ხელახლად დაიპყრო.

მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ ამ დაპყრობას რა სახე და სახელი მისცა.

რომ ის თითქმის არის წვერი ე.წ. საბჭოთა კავშირისა, რომ ის იქ თავისი ნებით შევიდა და კონსტიტუციის თანახმად მას შეუძლია იქიდან თავისუფლად გამოესვლა...

რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითია, ყველასათვის ცხადია. ფაქტი კი ის არის, რომ დღეს რუსეთი ბატონობს საქართველოზე... ქართველი ერი არც ამ დაპყრობას ურიგდება. ანალოგიურად მეცხრამეტე საუკუნისა, დიდ ხანს იბრძოლა იარაღით ხელში, ხოლო შემდეგ გადავიდა კულტურული გზებით ბრძოლაზე. ყოველდღიური ამბები ნათელს ჰყოფენ, რომ ქართველი ერი არაფერს უთმობს რუსეთის უბრძოლველად, ის იცავს თავის ეროვნულ მემობას და მის მთავარ გამოხატულებას, — ქართულ ენასა და ქართულ კულტურას.

მიუხედავად საქ-ში დიდძალი რუსობის ჩამოსახლებისა და ცდებისა ქართველი ერის გადაგვარებისა, ბებერ მუხას ფესვები მაგარი აქვს და ვერავითარი ქარიშხალი მას ვერ მოგლეჯს. ქართველ ერს მრავალი დაპყრობა განუცლიდა და ის ყოველთვის მოინელა და თავისი ეროვნული სახე არ დაუკარგავს. ასე მოხდებოდა ახლაც. რამდენადაც ძლიერია წნევა ასევე ძლიერია წინააღმდეგობა. არაბთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის ქვეშ მომზადდა საქ-ს დიდების ხანა, მეთორმეტე საუკუნე.

დღეს ქართველი ერი, თავისი ეროვნული გრძნობის სიმტკიცითა და კულტურული ამაღლებით მზად არის მოიპოვოს ერის მიერ საუკუნეებით ნანატრი თავისუფლება. მე მწამს, რომ ქართველი ერი განთავისუფლდება რუსეთის ბატონობისაგანაც. სწორედ დღეს მზადდება საქ-ს მომავალი დიდება. საქ-ს მხოლოდ თავისუფლება აკლია და მის შვილთ თავისუფლად ფრთების გაშლა. მხოლოდ მაშინ დაიბადება კვლავ რუსთაველი, ერის დიდების დამატკბობელი... შეიძლება ყველა ჩვენთაგანი ამ დღეს ვერ მოესწროს, მაგრამ ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოესწრებიან მას. ჩვენ თუ სამშობლოზე სევდამ გადაგვიყოლა, ისინი მაინც იქნებიან ბედნიერი და თავიანთი მამა-პაპის ღვაწლსაც არ დაივიწყებენ.

დღევანდელი საქართველო ქართველ ერს, გაუმარჯოს თავისუფლებას!

და მ ს წ რ ე


26 მაისობა პარიზში და სხვაგან

საქ-ს დამოუკიდებლობის 63 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება პარიზში გაიმართა შაბათს, 23 მაისს, პარიზის მეთოთხმეტე არონდისმანის მერიის სადღესასწაულო სალონში. საღამოს ცხრა საათზე სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბ. ვიქტორ ხომერიკმა გახსნა კრება, რომელმაც, გუნდის მიერ ქართული და ფრანგული ეროვნული ჰიმნების შესრულების შემდეგ, ქართულ და ფრანგულ ენებზე სხარტად განმარტა 26 მაისის დღესასწაულის ეროვნული არსი და მნიშვნელობა და სიტყვა გადასცა სორბონის უნივერსიტეტის ქართული ცივილიზაციის პრეფესორს, ბ. გიორგი შარაძეს. მომხსენებელმა, რომელიც ფრანგულად ლაპარაკობდა, ვრცელ და ღრმაშინაარსიან მოხსენებაში მიმოიხილა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც ხასიათდება ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნებისათვის წარმომებული განუწყვეტელი ბრძოლებით და თავისებური თვითმყოფადი სულიერი და მატერიალური კულტურის გამომუშავებით. მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა დამოუკიდებლობის აღდგენის, მაშინდელი საქ-ს შინაგან და საგარეო მდგომარეობის, სახელმწიფო აღმშენებლობის, მისი სოციალური და კულტურული მიღწევების, საბჭოთა რუსეთისაგან მუხანათური თავდასხმის და დაპყრობის და ამ უსამართლობის წინააღმდეგ (გავრძელება იხ. მე-12-ე გვერდზე)



საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი
ფრანსუა მიტერანა

მ.წ. 10 მაისს საფრანგეთში ჩატარდა რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე და უკანასკნელი ტური. პირველ ტურში, რომელიც 26 აპრილს ჩატარდა, წარმოდგენილი იყო ათი კანდიდატი, მაგრამ ვინაიდან ვერც ერთმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღო, მეორე ტურში დარჩა მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც ხმების უმრავლესობა მიიღო. ასეთებდა პირველმა ტურმა დანიშნა პრეზიდენტი **ფისკარ დესტენი**, რომელიც საპრეზიდენტო მანდატის კიდევ 7 წლით განახლებას თხოულობდა და სოციალისტური პარტიის კანდიდატი **ფრანსუა მიტერანა**. არჩევნები მით უფრო საინტერესო იყო, რომ მისი შედეგი ბოლო წუთამდე გამოუტყვეველი რჩებოდა. ეს ორი კანდიდატი უკვე ერთმანეთს ეცილებოდა 1974 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მაშინ, როგორც ცნობილია, ფისკარ დესტენმა გაიმარჯვა მხოლოდ 400 ათასი ხმის უმრავლესობით. ახლაც უმრავლესობა ფიქრობდა, რომ მცირე უპირატესობით იგივე ფ. დესტენი გაიმარჯვებდა. ზოხდა უწინააღმდეგე: დაახლოებით 52 პროცენტმა ხმა მისცა ფრანსუა მიტერანს და შვიდი წლის განმავლობაში საფრანგეთის სახელმწიფო საქე მას გადაეცა.



ახალმა პრეზიდენტმა, როგორც ამის უფლებას მას აძლევდა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია, პარლამენტი დაშალა და მისი ახალი წევრების არჩევა დანიშნა 14 და 21 ივნისს. ამ არჩევნების შედეგად მხოლოდ სოციალისტურ პარტიას ყავს დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა (დეპუტატთა საერთო რიცხვია 488, მათში 270 სოციალისტია, რომელსაც ემატება 15 მემარცხენე რადიკალ-სოციალისტი, რომელიც სოციალისტური პარტიის სანდო მოკავშირეა). აღსანიშნავია, რომ კომუნისტური პარტიის წარმომადგენლობა განახევრდა. თუ წინა საკრებულოში მას ჰყავდა 86 წარმომადგენელი, ახალში ეს რიცხვი 44-ზე დავიდა. სხვა პატარა მემარცხენე პარტიების წარმომადგენლობაც უმნიშვნელოა—4 დეპუტატი. აქედან ცხადია, რომ სოციალისტებს შეუძლიათ შექმნან ერთფეროვანი სოციალისტური მთავრება და განახორციელონ ნებისმიერი რეკრმა, ისე რომ პარლამენტში ვერაფერს ხელს ვერ შეუშლის, მიუხედავად ამისა, როცა ეს სტრიქონები იწერება, სარწმუნო წყაროების მიხედვით პრემიერ მინისტრ პიერ მორუას მომავალ მთავრობაში კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებიც იქნებიან.

ამრიგად, პრეზიდენტ მიტერანის განგარგულებაშია როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ორგანოები და მას შეუძლია დუბერკოლებად განახორციელოს მისი დაპირებული რეფორმები. ამ დაპირებების პირველ რიგშია: უმუშევრობის ლიკვიდაცია, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო საათების შემცირება 35 საათამდე კვირაში, წელიწადში ხუთივირთაინი შევებულების საყოველთაოდ გავრცელება, დაბალი ხელფასების და პენსიების მნიშვნელოვანი მომატება, საკრედიტო დაწესებულებების მთლიანად და ზოგიერთ მსხვილ კერძო წარმოების ნაციონალიზაცია და რეგიონალიზაცია, რომელიც გულისხმობს საფრანგეთის მსხვილ რეგიონებად დაყოფას. თვითოეულ რეგიონს ეყოლება ცენტრის მსგავსად რეგიონის მცხოვრებთა მიერ არჩეული საკრებულო და მმართველობა, რომლის განკარგულებაშიც გადავა ადგილობრივი ხასიათის ბიუჯეტი და მეურნეობა.

საპრეზიდენტო და საკანონმდებლო არჩევნების შედეგად საფრანგეთში



განცადა ღრმა პოლიტიკური ცვლილება. მემარცხენეთა ოპოზიცია, რომელიც 23 წლის განმავლობაში ებრძოდა გენერალ დე გოლის მეთაურობით შექმნილ მეხუთე რესპუბლიკის რეჟიმს და დე გოლის შემვიდრელ ხელისუფალთ, დღეს ხელისუფლების სათავეში მოექცა ისე, რომ არავითარ რევოლუციას, არავითარ სამოქალაქო ომს ადგილი არ ჰქონებია. ფრანგმა ხალხმა, სრულ პოლიტიკურ თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში, ინება ასეთი პოლიტიკური ცვლილება, ყველა ფრანგი სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილება ამ უზუნაეს განაჩენს, თუნდაც ის ამას თვლიდეს დამღუპველად საფრანგეთის მომავლისათვის.

ჩვენ, როგორც არაფრანგები, საფრანგეთის ხიზნები, თავს ვიკავებთ ამ მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების ავტარგვიანობაზე ჩვენი აზრის გამოთქმისაგან.

„თავისუფლების ტრიბუნა“ ესალმება და ულოცავს პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს ფრანგი ხალხის მიერ ასეთი უმადლესი ნდობის გამოცხადების და პატივის მინიჭების გამო და უსურვებს სრულ წარმატებას მის მაღალ მისიის შესრულების საქმეში, ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ.

მოკლე ცნობები ახალ პრეზიდენტზე

ფრანსუა მიტერანი დაიბადა 1916 წლის 26 ოქტომბერს პატარა ქალაქ ჟარნაკში (შარანტის დეპარტამენტი). მამამისი, ჟოზეფ მიტერანი, ჯერ რკინიგზის მოსამსახურე იყო, ადრე გავიდა პენსიაში და სათავეში ჩაუდგა ძმრის წარმოებას და გახდა საფრანგეთის ძმრის წარმოებათა სინდიკატების თავმჯდომარე. დედა, ივონ ლორენი, იყო შეძლებული ოჯახის შვილი. ფრანსუა მეხუთე შვილია, მის შემდეგ მის მშობლებს კიდევ შეეძინათ სამი შვილი. ათი წლიდან ჩვიდმეტ წლამდის, ფრანსუა მიტერანი სწავლობს ქ. ანგულემის ლიცეში, რომლის დამთავრების შემდეგ შედის პარიზის სორბონის უნივერსიტეტში და ერთდამთავრდის ამთავრებს იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს.

ომის დაწყებისას, ფ. მიტერანი იხდიდა სავალდებულო სამხედრო ბეგარას, როგორც სერჟანტი. მისივე თქმით, ამ დროს ის იყო ანტი-მილიტარისტი. 1940 წლის 14 ივნისს, დღე, როცა გერმანიის ჯარები პარიზში შემოიღონდნენ, ფ. მიტერანი დაიჭრა ევრდენთან ბრძოლაში და ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან ფ. მიტერანმა სამჯერ სცადა გამოქცევა. ორჯერ ის შეიპყრეს გერმანელებმა, მესამედ კი მშვიდობით მიაღწია საფრანგეთის თავისუფალ ზონამდის, 1942 წლის მაისში. მაშინდელ თავისუფალ საფრანგეთის დედაქალაქ ვიშიში, ფ. მიტერანი იწყებს სამსახურს როგორც თავმჯდომარის მრავალჯერ ნახევრად ოფიციალურ სამხედრო ტყვეთა დახმარების ცენტრისა და პარალელურად ებმება აქტიურ საიდუმლო საქმიანობაში გერმანიის ოკუპაციის წინააღმდეგ. 1943 წლის ნოემბერში განსაკუთრებული მისიით, ფ. მიტერანი ფარულად მოგზაურობს ალჟირში, სადაც ის შეხვედბა დე გოლს. მათი ეს პირველი შეხვედრა, ურთიერთ გაგების და დაფასების თვალსაზრისით, უარყოფითად უნდა დამთავრებულიყო, რაც საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ აისახა მათ ურთიერთ ახასიმპატიურ განწყობილებით.

ალჟირიდან დაბრუნებული ფ. მიტერანი გაიცნობს სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს, დანიელ გულს, მასზე დაინიშნება 1944 წლის გაზაფხულზე და იქორწინებს იმავე წლის 28 ოქტომბერს. ამ ქორწინებიდან მათ შეეძინება ორი ვაჟი: ჟან-ჰრისტოფი და ეილბერი, რომლებიც ამჟამად 34 და 31 წლის ასაკის არიან.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ, გენერალი დე გოლი მას მინისტრობას არ თავაზობს, მაგრამ ნიშნავს ყოფილ ომის ტყვეთა ორგანიზმის განარალურ მდივანად. პარალელურად, ფ. მიტერანი ეწყება პოლიტიკურ თურნალისტობას და სხვა გამოჩენილ რეზისტანტებთან ერთად აარსებს პატარა მაგრამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიას, „რეზისტანსის დემოკრატიულ და სოციალისტური კავშირი“-ად წოდებულს. 1946 წელში ფ. მიტერანს ირჩევენ ნიუეისის საარჩევნო უბანში დეპუტატად, 1949 წელში მინისტოს განმარალურ მრჩეველია და 1959 წლიდან უწყებტად ქ. შატო-მინონის მერად.

1947 წლის 22 იანვრიდან იწყება ფ. მიტერანის ბრწყინვალე სამინისტრო კარიერა, რომელიც ათი წლის განმავლობაში გრძელდება. სხვადასხვა მთავრობებში, რომელიც მაშინ

ხშირად იცვლებოდა, ფ. მიტერანი სულ უფრო და უფრო საპასუხისმგებლო საქმიანობებს განაგრძობდა და მისი ეს კარიერა დასრულდება საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკის ერთად, როცა ალჟირში მომხდარ მხედრების აჯანყების შედეგად გენერალი დე გოლი დაბრუნდა ხელისუფლების მეთაურად.

1958 წლიდან მოყოლებული ფ. მიტერანი ოპოზიციამა და პირველ ხანებში მეთაურობს მის მიერ დაარსებულ პატარა ფორმაციას-„უ.დ.ს.რ.“-ს. ამ დროს მას ორი კრიტიკული მომენტი ჰქონდა, როცა მისი პოლიტიკური კარიერა ბეწვზე ეკიდა: პირველი, როცა ფ. მიტერანს პარიზში, ობსერვატორიის ბაღში, ღამით თავს დაესხნენ, ცემეს და ტყვიაც ესროლეს. მისი პოლიტიკური მტრები ამტკიცებდნენ, რომ ეს ინციდენტი თვით ფ. მიტერანმა მოაწყო და თავდამსხმელი სხვა არავინ იყო, თუ არა მისივე ახლო ნათესავი. ფ. მიტერანის მიხედვით კი ეს ინციდენტი მას მისმა მტრებმა მოუწყვეს. მეორე მომენტი იყო პარიზის ბარაკების დროს, გენერალი დე გოლი არსად ჩანდა და არც მისი განზრახვა იცოდა ვინმემ, ფ. მიტერანი აჩქარდა და თავისი კანდიდატურა წამოაყენა საპრეზიდენტოდ. დე გოლი ტრიუმფალურად დაბრუნდა ელისეს სასახლეში, ხოლო საზოგადოებრივმა აზრმა ფ. მიტერანის ნაბიჯი დაემო, ამის შემდეგ, ივნისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების დროს ფ. მიტერანმა დემუტაციის მანდალი დაკავა და ძლივს გადაურჩა სრულ პოლიტიკურ ფიასკოს. მიუხედავად ამისა მან შეძლო მღვთვმარეობის გამოსწორება და კვლავ სათავეში ჩაუდგა მთელ მემარცხენე ოპოზიციას.

ფ. მიტერანი სოციალისტურ პარტიის რიგებში გვიან მოვიდა. მისთვის უცხოა მარქსისტული გაგება კლასთა ბრძოლაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე. თავისი ბუნებით და კულტურით ის ლიბერალია და თავისუფლების შეზღუდვას ვერაფერით მოტივთ ვერ ურიგდება, ამითაც შეიძლება აიხსნას მისი ოპოზიციის გენერალ დე გოლთან.

პირველად მეხუთე რესპუბლიკაში, **1965** წელს წამოაყენა ფ. მიტერანმა თავისი კანდიდატურა დე გოლის წინააღმდეგ და საერთო გაკვირვება გამოიწვია, რადგანაც დე გოლს, რომელიც იმ დროს თავისი პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა, ხელი შეუშალა არჩეული ყოფილიყო პირველ ტურში და მეორე ტურშიაც მხოლოდ ხუთი პროცენტი ხმის უმრავლესობით გაიმარჯვებდა. ამ წარმატებამ ფ. მიტერანს დიდად გაუთქვა სახელი. მან ისარგებლა ამ წარმატებით, ჯერ გახდა მემარცხენე რესპუბლიკურ დაჯგუფებათა გაერთიანების თავმჯდომარე, ხოლო **1971** წელს სათავეში მოექცა საფრანგეთის ყველაზე უფრო ძლიერ „ს.ფ.ი.ო.“-ს(მუშათა იმტერნაციონალის საფრანგეთის სექცია) პარტიას, რომლის ირგვლივაც თანდათან შემოიკრიბა სხვა სოციალისტური პარტიები და კლუბები, გააძლიერა და გახადა საფრანგეთის უძლიერესი მემარცხენე პარტია. **1972** წელს, ფ. მიტერანის მეთაურობით მოხდა სოციალისტური და კომუნისტური პარტიების შეთანხმება მომავალ არჩევნებისათვის და შეიმუშავეს ერთობლივი სახელმწიფო განმგებლობის პროგრამა, ამ პროგრამით და ორივე პარტიის მხარდაჭერით, **1974** წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ფ. მიტერანის კანდიდატურა დაუპირდაპირად ვალერი ჟისკარდესტენის კანდიდატურას, რომლის დროსაც უკანასკნელმა **400** ათასი ხმის უმრავლესობით გაიმარჯვა.

კომუნისტები

მას შემდეგ მას გადაუდგნენ, ბრძოლა გამოუცხადეს და თავს ესხმოდნენ ამ უკანასკნელ არჩევნების პირველი ტურის დამთავრებამდე, კომუნისტებმა ბევრი ხმა დაკარგეს და მათი კანდიდატი ჟორჟ მარშე მეოთხე ადგილზე გამოვიდა. ამან აიძულა კომუნისტები მეორე ტურში ფ. მიტერანისთვის მიეცათ ხმა.

პოლიტიკისა და ჟურნალიზმის გარდა ახალ პრეზიდენტს აღიარებული მწერლის სახელიცა აქვს. ლიტერატურულ წრეებში მას მწერლად გაჩენილს უწოდებენ, რაც ბევრის მეტყველია. მისი მთავარი ნაწარმოებებია: „ლა პაი ე ლე გრენ“(ღერო და მარცვალი), „მა პარ დე ვერიტე“(ჩემი წილი ჰეშმარტება) და „ისი ე მენტანა“(აქ და ახლა).



ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ტ ე რ ო რ ი

1. ხელყოფა პრეზიდენტ რეიგანის სიცოცხლეზე

სულ რაღაც ერთნახევარი თვის განმავლობაში მოხდა ორი სენსაციური მკვლელობის ცდა, ტელევიზორის კამერის თვალთა წინაშე, — პირველი მკვლელობის ობიექტი იყო ამერიკის ახალი პრეზიდენტი, მეორის კი რომის პაპი იოანე-პავლე მეორე.

ამერიკის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის სიცოცხლეზე ხელყოფას ადგილი ჰქონდა 30 მარტს, 14 საათზე და 30 წუთზე, ვაშინგტონში, როცა ის გამოდიოდა სასტუმრო პოლტონიდან, სადაც მან, რამდენიმე წუთის წინ, სიტყვით მიმართა ამერიკის ერთ-ერთ დიდ პროფკავშირების კრებას. რევოლუციის ხუთი ტყვიიდან, რომელიც მას თავდამსხმელმა ესროლა, პრეზიდენტს ერთმა გაუარა მუცლის არეში, სულ ახლოს გულთან და გახვრიტა ცალი ფილტი. პრეზიდენტის გარდა მძიმედ დაჭრა თეთრი სასახლის პორტ-პაროლი ჯეიმს ბრადი და შედარებით მსუბუქად პრეზიდენტის ერთი პირადი მცველი და ერთი პოლიციელი.

ტერორისტი სწრაფად ადვილზევე გათოკეს. ის აღმოჩნდა ამერიკის მდიდარი ოჯახიშვილი, 23 წლის ჯეიმს ჰინკლე. პირველი ცნობების მიხედვით, ვითომ ეს მან ჩაიდინა ლამაზი კინო მსახიობის, უიდი ფოსტერის გულის მოსანადირებლად.

საბედნიეროდ 70 წლის ასაკის პრეზიდენტის ორგანიზმი საოცრად ჯანსაღი აღმოჩნდა. მეტად იოლად გადაიტანა ოპერაცია და ჰრილობებიც სარეკორდო ვადაში მოუშუშდა. ის უწყვეტად მართავდა ქვეყანას საავადმყოფოდან, ხოლო ორი კვირის თავზე თეთრ სასახლეში იყო, თავის სამუშაო კაბინეტში.

2. ხელყოფა რომის პაპის სიცოცხლეზე

სენსაციური მკვლელობის მეორე ცდას, ისევე ტელევიზორის თვალის წინ, ადგილი ჰქონდა რომში, სენ-პიერის მოედანზე, ოთხშაბათს 19 მაისს 17 საათზე და 19 წუთზე. როცა თავისი ჩვეულების მიხედვით, მისი უწმინდესობა იოანე-პავლე მეორე მის ირგვლივ შემოჯარულ მლოცველებს ესალმებოდა და ლოცავდა, მას ტყვიები დაახალა ბრბოში მყოფმა მკვლელმა. თავამსხმელი მაშინვე შეიპყრეს და სწრაფად გაარიდეს აღშფოთებულ ხალხს, რომელსაც მისი ჩაქოლვა უნდოდა, ხოლო მძიმედ დაჭრილი პაპი სასწრაფოდ კლინიკაში გადაიყვანეს. ოთხი საათის განმავლობაში წარმოებულ ოპერაციის შემდეგ გამოირკვა, რომ კუჭში მიღებული ჰრილობა სერიოზულია, მისი სიცოცხლე საფრთხეში არ უნდა იყოს, მაგრამ საჭირო იქნება რამდენიმე თვის მკურნალობა, სანამ მისი უწმინდესობა შეძლებდეს თავისი მდიდარი მისიის გაგრძელებას.

ვინაა რომის პაპზე თავდამსხმელი? 23 წლის თურქი მეჰმეთ ალი აგჯა, რომელსაც თურქეთის პოლიცია ეჭვდა 1979 წლის პირველ თებერვალს სტამბოლში ერთი დიდი გაზეთის რედაქტორის მის მიერ მოკვლის გამო. ციხიდან გაქცევის შემდეგ, ალი აგჯა, ბულგარეთზე გაველის შემდეგ, სადაც შეიძინა იარაღი, რომლითაც პაპს ესროლა, იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიაში და იტალიაში, ყალბი სტუდენტის სახით. ალი აგჯამ ტერორისტული წვრთნა გაიარა სირიისა და ლიბანის პალესტინელ ტერორისტთა საწვრთნელ ბანაკებში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ და ჩვენი სამძიმარი გამოვუცხადოთ პოლონელ ხალხს, რომელმაც მძიმე დანაკლისი განიცადა მისი სახელგანთქმული ეკლესიის კრიმის, კარდინალ სტეფან ვიშინსკის გარდაცვალებით. განსვენებული დიდი ავტორიტეტი და პატრიარქის მსგავსობა, როგორც პოლონეთში, ისე მის გარედ მთელ მსოფლიოში. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისია პოლონელი ხალხისათვის, განსაკუთრებით ამ მომენტში, როცა პოლონეთის მომავალი ბედი ასეთ კრიტიკულ ფაზაშია.

სწორედ ამ დროს პოლონელი ხალხის მეორე დიდ ნუგეშს, ყოფილ კრაკოვის კარდინალს, დღევანდელ პაპს იოანე-პავლე მეორეს, რომელიც ავადმყოფის ლოგინზეა მიკრუ-



ლი, წართმეული აქვს მისი სამშობლოს აქტიური ქონაგობის საშუალება.

ბუნებრივად ისმება კითხვა: არის ეს ბრმა ბედისწერა, თუ ადამინური მაკი-აველობა?

3. ბომბის აფეთქება რადიო „თავისუფალი ევროპა“-„თავისუფლება“-ში

ნაკლებად სენსაციურს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვან ბოროტმოქმედებას ადგი-ლი ჰქონდა მიუნხენში არსებულ რადიო „თავისუფალ ევროპას“ და „თავისუფლებას“ მიმართ. თებერვალში გამოურკვეველმა ბოროტმოქმედმა თუ ბოროტმოქმედებმა ბომბით ააფეთქეს რა-დიოს ცენტრალური ნაწილი, კერძოდ ჩეხოსლოვაკიის რადიო რედაქციის ბინა, რომელმაც სერიოზულად დააზიანა შენობა, მოსპო საცავი, სადაც ინახებოდა რადიოგადაცემების მასა-ლები და დააზავა რვა მოსამსახურე, რომელთაგან ორმა შეიძლება საშუალოდ დაკარგოს მხედველობა, იუწყებოდნენ გერმანიის გაზეთები. ბოროტმოქმედთა კვალი არ ჩანს.

ვის უშლიდა ხელს ეს რადიო? საბჭოთა კავშირის და მის სატელიტ ქვეყნების ხელისუფალთ, რომელთაც ასე აზინებთ, რომ მათმა ხალხებმა სიმაძრულე არ გაიგონ.

განსაკუთრებით ავღანისტანის და პოლონეთის ამბების შემდეგ, საბჭოთა მესვე-ურები არავითარ ხარჯებს არ ერიდებიან ოფონდ ჩაახშონ უცხოეთიდან მიღებულ რადიოთა ხმები. ამის გარდა მისი პრესა, რადიო და ტელეხედვა გააფთრებით თავს ესხმოდა და ესხმის მიუხედავად ზემოხსენებულ რადიოებს, ბრალს ედება მათ საბოტაჟში, ღივერსიაში, სუვერენ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩარევაში და ცრუ და მყენ ქორების გავრ-ცელებაში. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არაა საბრალმდებლო სკამზე დაესვით საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურები.

ზემოდ მოტანილი სამი შემთხვევა საერთაშორისო ტერორიზმისა, არც პირვე-ლია და არც ყველაზე შემადარწუნებელი ამ უკანასკნელ 15-20 წლების განმავლობაში. ის ძირითადად მიმართულია დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ, იქ ანარქიისა და შიშინო-ბის შესაქმნელად. საერთაშორისო ტერორის გეოგრაფიული გარემო იცვლება ამერიკის, წი-ნა აზიის და დასავლეთ ევროპის სივრცეზე, მაგრამ განსაკუთრებით დიდმსხვერპლოვანი და ხანგრძლივი იტალიის, ესპანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიის, გერმანიის და პალესტინის, ყველა ეს ტერორისტული ჯგუფები საკვირველად ურთიეთში არიან გადახლართული და შორეულ პლანზე მოჩანს საბჭოეთში, ამტკიცებულა, რომ ბევრი საერთაშორისო ტერორისტული აქ-ტის კვალი საბჭოთა კავშირში და სხვა კომუნისტურ ქვეყნებში იკარგება. დიდ ხანს ამა-ზე ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. პირველად რუბიკონი გადალახა იტალიის მხცოვანმა პრეზიდენტმა, სანდრო პერტინიმი, რომელმაც გასულ წლის ბოლოს საჯაროდ საბჭოთა კავ-შირს ბრალი დასდვა იტალიაში, თურქეთში და ახლო აღმოსავლეთში ტერორის წაქეზება-ში. რეიგანის მთავრობამ, როგორც კი ხელისუფლება ჩაიბარა ბრძოლა გამოუცხადა საერ-თაშორისო ტერორიზმს და ბრალი დასდვა საბჭოთა მთავრობას.

ქვემოდ გვქვდათ ნახევრად ოფიციალურ ანკეტას „კ.გ.ბ.“-სა და საერთაშორი-სო ტერორის ურთიერთობის შესახებ.

„საერთაშორისო ტერორიზმი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ბე-ვრი საერთაშორისო მეთვალყურე ფიქრობს, რომ ეს დაკავშირებულია პოლონეთის ამბე-ბთან. კ.გ.ბ. ცდილობს თავისუფალ სამყაროში ტერორისტული აქტების გამრავლებით სა-ზოგადოების ყურადღება რაც შეიძლება მეტად ჩამოაშოროს პოლონეთის და ავღანისტა-ნის ამბებს. ამ გააქტივებაში შეიძლება დაეინახოთ შანტაჟის ცდა: თუ თქვენ ავღანელ მემამოხეებს იარაღს მისცემთ, ჩვენ გავაჩაღებთ საერთაშორისო ტერორს.

ამერიკის შ. შტატებმა ამ საშიშროებას უპასუხა გადამწყვეტი მოქმედებით! ექვს მაისს ლიბიის დიპლომატიური მისია, რომელზეც არსებობს სერიოზული ეჭვები სა-ერთაშორისო ტერორის წარმოებაში, გამოცხადდა როგორც არა სასურველი და უნდა დასტოვოს ამერიკა. ამავე დროს პრეზიდენტმა რეიგანმა და მისმა ახლო თანამშრომლე-ბმა აშკარად ბრალი დასდვეს ლიბიის დიქტატორს, კოლონელ კადაფის, მეზობელ აფრი-კულ ქვეყნების ძირის გამოთხრაში. ცნობილია, რომ კადაფი იარაღს და მრჩეველებს



იღებს საბჭოთა კავშირიდან და ეთიოპიასთან ერთად წარმოადგენს ბაზას საბჭოებისკენ ვერობაში შესაჭრელად...

დღეს ცნობილია, რომ კ.გ.ბ. საერთაშორისო ტერორისათვის ხარჯავს ას მილიონ დოლარზე მეტს. მისი პირდაპირი თუ არა პირდაპირი ხელმძღვანელობით მსოფლიოს 63 ქვეყანაში მოქმედობს ოთხასი ტერორისტული ორგანიზაცია. ბუნებრივია, რომ საერთაშორისო ტერორიზმი არ აწუხებს ე.წ. სოციალისტურ სახელმწიფოებს, ის უმთავრესად მიმართულია თავისუფალ სამყაროს ქვეყნების წინააღმდეგ და განსაკუთრებით ამერიკელების წინააღმდეგ. კ.გ.ბ.-ს მიზანი ცხადია: დასავლეთის სიმყარის მოშლა, ანარქიისა და შიშთანობის გაბატონება, რაც გზას გაუკაფავს კომუნისტურ დიქტატურას. საბჭოთა მსოფლიო ტერორიზმის მთავარი ბაზებია: ამერიკაში კუბა და აფრიკაში ლიბია. კუბა აწარმოებს სამხრეთ ამერიკის რღვევას, ხოლო კადაფის ლიბია დასავლეთ ევროპისა, პალესტინელებთან კავშირში.

მოსკოვში მომავალ ტერორისტების ფორმაციას აწარმოებს ლენინის და მორის ტორეზის ინსტიტუტები და პატრის ლუმუმბას უნივერსიტეტი, რომელსაც განაგებს კ.გ.ბ.-ს გენერალი, ერზინი. სწორედ ამ უნივერსიტეტში არის განსწავლული მთელ მსოფლიოში ცნობილი ტერორისტი კარლოსი, იგივე ილიჩ რამირეზი, რომელიც ამეამად ლიბიაში „ას-წაილის“ ტერორიზმს.

ტერორისტების წვრთნას აწარმოებს სსრკ-ს წითელი არმიის გრ.უ.(გლავნოე რაზვედიტელნოე უპრავენიე), რომლის ბანაკები განლაგებულია შემდეგ ქალაქებში: ტულა, ფალე, ტაშკენტი, ოდესა და სიმფეროპოლი.. ასეთივე ბანაკები ტერორისტებისთვის არსებობენ: ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკ. რესპუბლიკაში, უნგრეთში და ბულგარეთში.

მას შემდეგ, რაც სსრკ-სა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შორის „მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულება დაიდვა, მისმა მეთაურმა იასერ არაფატმა გამგებლობაში მიიღო ცხრა სკოლა-ბანაკი არაპალესტინელებისათვის: ოთხი ბანაკი ლიბიაში, ორი სირიაში, ერთი ერაყში, ორი სამხრეთ იემენში. ამ ბანაკებში ვარდა ექვსსი ირანელისა და სამასი თურქისა იწვრთნებოდნენ გერმანელები, ირლანდიელები, იაპონელები, იტალიელები და სამხრეთამერიკელები.

დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ იტალიის „წითელ ბრიგადებს“ იარაღით ამარაგებს „ო.ო.პ.“ (პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია). საბჭოთა იარაღი მოდის ახლო-აღმოსავლეთში საბჭოთა გემებით, შემდეგ პალესტინელებს ის საიდუმლოდ გადააქვთ ვენეციაში, საიდანაც ის ვრცელდება მთელ იტალიაში.

ირლანდიის „ი.რ.ა.“-ს(ირლანდიის რესპუბლიკური არმია), რომელმაც 11 წლის განმავლობაში მოკლა ორი ათასი კაცი, იარაღით ამარაგებს ჩეხოსლოვაკია და, როგორც ნათქვამი იყო „ი.რ.ა.“-ს ტერორისტები წვრთნას გადიან ახლო-აღმოსავლეთში.

რაც შეეხება თურქეთს, რომელსაც ერთი უძლიერესი არმია ჰყავს „ნატოს“ სახელმწიფოთა შორის, ამ ქვეყნის მმართველებმა მხოლოდ ანკარაში, უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში აღმოაჩინეს საბჭოთა ფაბრიკაციის 40,000 ავტომატიური იარაღი. საინტერესოა, რომ ალფამ პაპ ოიანე-პავლე მეორეს ესროლა რევოლვერით, რომელიც მიიღო ბულგარეთში, ხოლო თვით ალი აჯვა ეკუთვნის „რუხვი მგლების“ ორგანიზაციას, რომელიც მთლიანად იმყოფება „კ.გ.ბ.“-ს კონტროლს ქვეშ. საერთოდ, და საჭიროა ამას ხაზი გავსვას, „კ.გ.ბ.“ და მისი კუბელი, პალესტინელი და ლიბიელი მოკავშირეები იყენებენ თავიანთ მიზნებისათვის ნებისმიერ ტერორისტებს, მათი იდეოლოგიის მიუხედავად. მაგალითად, ვასლუ წლის ბოლის კარლ გოფმანი, დასავლეთ გერმანიის ერთი ახალ-ნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციის მეთაური, შეხვდა „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის“ წარმომადგენლებს და შეთანხმდა, რომ მისი ორგანიზაციის წევრებმა ტერორისტული წვრთნა მიიღონ პალესტინელთა ბანაკებში.

(„რუსკაია მისლ“ №3363. 4.06. 1981)



26 მაისობა პარიზში და სხვაგან (დასასრული)

სამოცი წლის განმავლობაში წარმოებულ ბრძოლების აღწერაზე. გ. შარაშიძის შემდეგ კრებას მიესალმენ სტუმრები, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერების წარმომადგენლები.

მიტინგის შემდეგ დაიწყო ნადიმი, რომლის დროს ჩვენმა ბავშვებმა და მოზარდებმა გვიჩვენეს ქართული ხალხური ცეკვები, ქალბატონ ელენე გელაშვილის ქორეოგრაფიული ხელმძღვანელობით. ცალკედ უნდა აღინიშნოს ლორანი ჩხაიძე, რომელმაც კიდევ ერთხელ გვიჩვენა მაღალი პროფესიონალიზმით და ტემპერამენტით შესრულებული „მთიულური“.

26 მაისის დღეს, ცოცხალი ყვავილებით იქნა შემკული პრეზიდენტ ნოე ჟორდანისა და სხვა 26 მაისის მამამთავრების საფლავები.

სალამოს ექვს საათზე, ქართველ ყოფილ მხედართა საზოგადოებამ ცოცხალი ვარდების გვირგვინი მიიტანა საფრანგეთის უცნობ ჯარისკაცის საფლავზე და შეასრულა წესი მუღმივი ცეცხლის აღის გაღვივებისა. ცერემონიის განმავლობაში ქართული სამფეროვანი დროშა, რომელიც კვლავ ხელთ ეყვრა 91 წლის ვეტერან ქრისტეფორე იმნაიშვილს, ლაღად ფაღვლებდა ეტუაის თაღებქვეშ, საფრანგეთის რესპუბლიკის სამფეროვან დროშების გვერდით.

შემდეგ ქართველებმა თავი მოიყარეს პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში, სადაც დეკანოზმა ილიამ წირა ოცდაექვსი მაისის სადიდებელი პარაკლისი.

დღესასწაულის დღეებში სტუმრად გვეწვია: ამერიკის შეერთებულ შტატებთან ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ბ. სანდრო ბარათელი და ოთარ ზალდასტანიშვილი, სოშო-მონბელიარიდან ბ. ბაგრატი ჭანტურია, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა ჩვენს საზეიმო მანიფესტაციებში.

რედაქციაში მიღებული ცნობებით, საქართველოს დამოუკიდებლობის 63-ე წლისთავის ზეიმი წარმატებით ჩატარდა ნიუიორკის, ლონდონის, ბუენოს-აირესის, სოშო-მონბელიარის და კალიფორნიის ქართულ თემებში.

ჩრდილოეთ ირლანდიის ტრაგედია

მაისის თვეში მსოფლიო საზოგადოება კვლავ შეაძრწუნა ჩრდილოეთ ირლანდიდან (ულსტერი) მიღებულმა ტრაგიკულმა ამბებმა. მაზის ციხეში, რომელიც ქ. ბელფასტის მახლობლად იმყოფება, შიმშილით თავი მოიკლა ოთხმა პატიმარმა: 5 მაისს გარდაიცვალა ბობი სანდისი, 12 მაისს ფრენსის ჰიუსი, 18 მაისს რეიმონ მაკ კრიში და 21 მაისს პატსი ო'პარა. მაზის ციხეში კიდევ შიმშილობს ოთხი პატიმარი და მოსალოდნელია, რომ მათ კიდევ გამოუჩნდებიან მიმბაძველები, რომელთა ბედიც ისევე სამწუხაროდ წარიმართება, თუ საქაროდ არ მოხდა დათმობა, ან ინგლისის მთავრობის, ან „ი.რ.ა.“-ს (ირლანდიის რესპუბლიკური არმია) მხრით, რომლის დირექტივებს ეს შიმშილით გაფიცულნი ასრულებენ. შიმშილით გაფიცულები აქტივისტები არიან სწორედ „ი.რ.ა.“-ს საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციის, ტერორისტული აქტებისათვის გასამართლებელი და პატიმრობა მისჯილი. პატიმრობაში მათი მდგომარეობა არ განსხვავდება სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეების მდგომარეობისაგან, ისინი კი მოითხოვენ პოლიტიკური პატიმრის სტატუსს, რაზედაც ინგლისის მთავრობა უარს ამბობს, რადგანაც მას მიაჩნია, რომ ასეთი ღონისძიება წამაჭეხლებლად იმოქმედებს ტერორიზმზე.

თქმა არ უნდა, ჩვენი სიმპატიები ირლანდიელი პატიმოტების მხარეზეა და მათი ეს უზუნაესი მსხვერპლად შეწირვა ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს, მაგრამ თქმა იმისი, რომ ეს საკითხი ადვილად მოსაგვარებელია და ამ ადამიანური ტრაგედიის მთელი პასუხისმგებლობა ინგლისის დღევანდელ მთავრობას დაეკისრო მხოლოდ, იქნება ან სრული უპასუხისმგებლობა, ანდა ისეთი პარტიზანული გამოხლობა, როგორც სჩადის საბჭოთა პროპაგანდა. საბჭოთა პრესაში ხშირად იბეჭდება, ჩრდილოეთ ირლანდიის ამბებთან დაკავშირებით, შემდეგი გამონათქვამები: „ჩრდილოეთ ირლანდიაში იმართება მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ინგლისის ხე-



ლისუფალი ახორციელებენ.“ „... ოციდალური ლონდონის სასტიკი ზოზიცია გამაზრდობის ნარეობს პოლიტიკიდან, რომლის მიზანია უხემ ძალასა და შეუბრალებელ რეპრესიებზე დაყრდნობით ჩაახშოს დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის მასობრივი მოძრაობა ჩრდილოეთ ირლანდიაში.“ („კომუნისტი“ 15.5.1981)

საბჭოთა პროპაგანდის ასეთი განცხადებების მიზანი ცხადია: შეცდომაში შეიყვანოს ამ საკითხში თავისი საზოგადოება. მიუდგომელი მეთვალყურესთვის კი საკითხი ჩრდილო ირლანდიისა მეტად ძნელი მოსაგვარებელია დღევანდელი ინგლისის დემოკრატიული მმართველობისაგან. საკითხის გაშუქება რომ შეეძლოს, საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსიის გაკეთება.

ირლანდიის კუნძული მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ დაიპყრეს გაელებმა, რომლებიც კელტების ერთი შტოა და საფრანგეთის ბრეტონელებს ენათესავებიან. მეხუთე საუკუნეში მათ მიიღეს ქრისტიანობა, რომელმაც იქ მეტად ნაყოფიერი ნიადაგი პპოვა და მომდევნო საუკუნეებში ირლანდიელმა სამონასტრო მოღვაწეებმა დიდი როლი ითამაშეს ევროპის მატერიკზე. 795 წელს ირლანდია ნორვეგიელებმა დაიპყრეს, დროთა განმავლობაში დამპყრობლები და გაელები ერთმანეთში გაითქვიფებენ. მეორე მეტად საუკუნეში იწყება ბრძოლა ინგლისის სამეფოსა და ირლანდიის მეფეთა შორის, რომელიც განსაკუთრებულად მწვავე ხასიათს ღებულობს მეოთხე მეტად საუკუნეში. ბრძოლა დასრულდა ინგლისის გამარჯვებით, თუმცა ირლანდიელებს, რომლებიც ერთგული დარჩნენ გაელური კულტურის და კათოლიკური სარწმუნოების, არასოდეს ხელი არ აუღიათ ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. როცა ინგლისმა საკუთარი პროტესტანტული რელიგია აღიარა, ამის შემდეგ ირლანდიასა და ინგლისის შორის ერთგულ ანტაგონიზმს დაემატა რელიგიური ანტაგონიზმიც. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ჩრდილო ირლანდიიდან გააძევეს კათოლიკი მესაკუთრეები და მათ ადგილას ჩაასახლეს პროტესტანტი ინგლისელები და შოტლანდიელები. ამრიგად, ირლანდიის ამ კუთხეში დასაბამი მიეცა ორი ძირითადად განსხვავებული თემის თანაცხოვრებას. ამ დროდნ მოყოლებული, ირლანდიაში ადგილი აქვს გაელური ენის თანდათან შევიწროებას, ინგლისური ენის სასარგებლოდ. გაელური ენა მხოლოდ მივარდნილ სოფლებშია იხმარებოდა.

1845-47 წლებში კართოფლის ავადმყოფობის შედეგად ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო ორ მილიონ ირლანდიელზე მეტი დაიღუპა, ან კუნძულიდან გაიხიზნა. გახიზნა შემდეგაც ხალხმრავალად გაგრძელდა, როგორც ინგლისში, ისე სხვა ქვეყნებშიაც, განსაკუთრებით კი ამერიკის შ. შტატებში, სადაც ამჟამად ირლანდიელთა მრავალრიცხოვანი და გველენიანი თემი ცხოვრობს. ამის გამო ირლანდიაში, სადაც 1845 წელში რვა მილიონი მცხოვრები იყო, დღეს-დღეობით ამის ნახევარიდა ცხოვრობს.

ირლანდიის გაელური ნაციონალიზმი მხარდაჭერას პოულობდა ჯერ ესპანეთის მძლარი სამეფოსა და შემდეგ საფრანგეთისაგან, რადგანაც მათ ინტერესში შედიოდა ინგლისის ძლიერი სამეფოს დასუსტება. ირლანდიელი ნაციონალისტები ყველთვის სარგებლობდნენ ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობის ვართულებებით და აძლიერებდნენ განმთავისუფლებელ ბრძოლას. ასევე მოიქცნენ პირველ მსოფლიო ომის დროს, გააჩაღეს პარტიზანული ბრძოლები და 1921 წელს ინგლისის მთავრობა აიძულეს დათმობაზე წასულიყო. ლიოდ ჯორჯის მთავრობამ ირლანდიის 26 ადმინისტრატიული ერთეული(კომტე), სადაც უმრავლესობა გაელები და კათოლიკები ცხოვრობდნენ, ერთ სახელმწიფოდ გამოყო, დედაქალაქ ღლდინით და დიდი ბრიტანეთის დომინიონი სახელწოდებით აქცია. 1936 წლიდან ამ ქვეყანამ, რომელმაც ირლანდიის, ანუ ეირეს რესპუბლიკის სახელწოდება მიიღო, სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა ინგლისის მიმართ, რაც ძალაში პრაქტიკულად შევიდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ირლანდიის ჩრდილოეთის ექვსი კომტე, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ინგლისეული პროტესტანტებია, ინგლისის მამინდელმა მთავრობამ ავტონომიურ სახელმწიფოდ გამოყო და ჩრდილო ირლანდიად ანუ ულსტერად წოდებული შევიდა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ერთიან სამეფოში.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ცხოვრობს ერთი მილიონი შოტლანდიურ-ინგლისურ წარმოშობის პროტესტანტი, რომელსაც არას გზით არ უნდა შეუერთდეს კათოლიკურ ირლან-

დიის რესპუბლიკას და 500 ათასი კათოლიკი, რომელიც თავს დაჩაგრულად გრძობდა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე უმრავლესობისაგან. ამ ორ თემთა შორის უმცირესობებმა განსაკუთრებით თავი იჩინა 1968 წელში, როცა კათოლიკურმა მოსახლეობამ მანიფესტაციები დაიწყო ქუჩებში ე.წ. „სამოქალაქო უფლებების“ მისაღებად. ამან გამოიწვია პროტესტანტ მოსახლეობის უდიდესი ანტი-კათოლიკური რეაქცია და 1969 წელში ეს ორი ანტაგონისტური თემი ერთმანეთს სასიკვდილოდ დადგარა. ადგილობრივი ადმინისტრაცია უძლური აღმოჩნდა წესრიგი დაემყარებია, კათოლიკებს ამოწყვეტა ემუქრებოდათ. ასეთ პირობებში ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ხარი შეეყვანა ჩრდილოეთ ირლანდიაში და ხელში აეღო პოლიცია. ამის შემდეგ ინგლისის სხვადასხვა მთავრობები(თავიდან კონსერვატორული, მერე ლიბერალისტული, ამჟამად კი ისევ კონსერვატორული) ცდილობენ თავისუფლებისა და დემოკრატიის პატივისცემის ფარგლებში მოაგვარონ ეს შეტად მტკივნეული ეროვნული საკითხი, რომელიც მძიმე ისტორიულ ტვირთად აწევს ინგლისის დღევანდელ მთავრობას.

ჩრდილოეთ ირლანდიის კრიზისი ალბათ დიდი ხანია, რაც დაძლეული იქნებოდა, მაგრამ საქმეს ართულებს „ი.რ.ა.“(ირლანდიის რესპუბლიკანური არმია), რომელიც განუკითხავ ტერორს აწარმოებს არა მარტო ჩრდილოეთ ირლანდიაში, ამედ იგლისშიც და, რომელსაც ცენტრი ირლანდიის რესპუბლიკაში აქვს. „ი.რ.ა.“-ს მებრძოლების მამაცობა და პატრიოტიზმი შთაბეჭდავი და პატივსაცემია, მაგრამ შეუძლებელია იმის დაეწვევა, რომ ვერც ერთი მთავრობა, რომელიც თავის თავს და თავის მისიას პატივსა სცემს ძალმომრეობას, მკვლელობის აქტებს ვერ დაემონება. ერთადერთი გზაა მოლაპარაკების გზით საკითხის მოგვარება ინგლისის და ირლანდიის მთავრობებს შორის. ამ აზრს იზიარებს ირლანდიის კანონიერი მთავრობაც, რომელსაც ნორმალური ურთიერთობა აქვს ინგლისის მთავრობასთან და იმედოვნებს, რომ მშვიდობიანი და შეიძლება ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მოგვარდეს ჩრდილოეთ ირლანდიის ორივე ერისათვის მტკივნეული საკითხი.

ჩრდილოეთ ირლანდიის ტრაგედიიდან ჩვენ, ქართველებს გვმართებს ჰკუთვნა ვისწავლოთ. რუსეთის ბატონობის 180 წლის განმავლობაში საქ-ში ჩამოსახლეს მილიონანზე-ვარზე მეტი რუსი, სომეხი და სხვა ეროვნული, რაც საქ-ს მთელი მოსახლეობის 35% შეადგენს. თუ ასე გაგრძელდა ამ საუკუნის ბოლოსათვის ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე საერთოდ, ხოლო საქ-ს რიგ უთხებებში უკვე კარგა ხანია რაც ეს ასეა. სომხებთან ომიც მოგვიხდა ამის გამო, რაც თვალდასახუცი და დასამალი არ არის. საბჭოთა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა არამც თუ არაფერს აკეთებს, რომ შეზღუდოს უცხო ელემენტის მოზღვანება, არამედ თავმომწონედ გაჰკივის საჯარო კრებებზე, რომ საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა, თითქოს ეს ბედნიერება იყოს ქართველი ერის მომავლისათვის.

გ. პერევისელი

რუსეთის კომუნისტური „სამოთხე“ (დასასრული. დასაწყისი იხ. №31-ში)

1974 წლის ბუქარესტის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი მსოფლიო მოსახლეობის ზრდისა და მისი გამოკვების საკითხებზე თავს რომ იმტვრევდნენ, საბჭოთა წარმომადგენელი იმ აზრის იყო, რომ კაპიტალისტური მონოპოლიის ლიკვიდაციით და დაგეგმილი სამეურნეო სისტემით ადვილად შეიძლება 35 მილიარდი ადამიანის გამოკვება.

მაშ რით უნდა აეხსნათ, რომ თვით რუსეთშია, ისე, როგორც ყველა დანარჩენ კომუნისტურმა ქვეყნებმა, სადაც კაპიტალისტურ მონოპოლიას ადგილი არ აქვს და ეკონომიკა დაგეგმილ სისტემაზეა გადაყვანილი, დღემდე ვერ შეძლეს საკუთარ მოსახლეობის გამოკვება? თვით საბჭოთა კავშირს, მისი არსებობის სამოცზე მეტი წლის შემდეგაც ვერ მოუხერხებია საკუთარი საშუალებებით საკუთარი მოსახლეობის სურსათ-სანოვავით უზრუნველყოფა და კანადა, ამერიკა, აზრენტინა, ავსტრალია და საფრანგეთი რომ არ იყვნენ, პურიც არ ექნებოდათ საკმარისად.

ცარისტული რუსეთი, ხორბლის ერთ-ერთი დიდი ექსპორტატორი მსოფლიოში, მიუხედავად განუვითარებელი სოფლის მეურნეობისა, სწორედ ბურჟუაზიული ეკონომიურ



სისტემით ახერხებდა მარცვლეულობის ყოველწლიურ ღიდალ მოსავალს, და თუ ამის მიხედვით თად იმ დროის სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის უმრავლესობის დასაქმიანებას მოიწვევინენ, ღღესაც კი ეგვსა და ვლადივოსტოკს შორის სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია 30% მთელი მუშახელის, მაშინ, როცა ამერიკაში 3%, ფედერაციულ გერმანიაში 4% და საფრანგეთში 9%-ია შესაბამისი მაჩვენებელი. არც სასუქების ნაკლებობა და არც სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სიმცირე, არც ვაჭრობის კულტურის სიღარიბე და უღისცაობა მთავარი მიზეზები არ არიან საბჭოთა მეურნეობის მუდმივი კრიზისის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოური სასოფლო-სამეურნეო სისტემა, „სოვხოზურ“-„კოლხოზური“ მეურნეობები, ყოვლის შემძლე და ყოვლის მომცველი ცენტრალიზმი და ბიუროკრატიზმი, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს ბაზრის მარეგულირებელ ბუნებრივ კანონებს და ჰკლავს პირად ინდივიტებას.

ამას ჩვენ ხომ ვხედავთ: მარტო 3% კერძო საკუთრებად დატოვებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, რაც სახელმწიფოდან გლეხებს დატოვებული აქვთ საკუთარი სარგებლობისათვის და, რაც მთელი საკოლმეურნეო სათესი მიწის 4%-საც არ შეადგენს, სახელმწიფოს საერთო შემოსავალში არანაალებ 20%-ით მონაწილეობენ და ტყუილად კი არ იმეორებს ბრეჟნევი უკანასკნელ დროს ასე ხშირად: „პირად მეურნეობებს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და ვიზრუნეოთ მათზე„-ო.

პარტიის პოლიტიკაზე დამორჩილებული საბჭოთა მეურნეობა ადასტურებს ლენინის აზრს: პოლიტიკის პრიორიტეტისას ეკონომიკის მიმართ, რაც ნიშნავს პოლიტიკური მიდგომით ყოველი სამეურნეო საკითხის გადაწყვეტას. მათ ავიწყდებათ, რომ ეკონომიკას თავისი ურღვევი კანონები აქვს და მათი უგულებელყოფა არ შეიძლება საბედისწერად არ დასრულდეს.

დასავლეთ ევროპაში უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ, სოფლის მეურნეობის სექტორში ისეთი საფუძვლიანი ცვლილებები მოხდა, როგორც არც ერთ სხვა დარგში. ახალი ეკონომიური სტრუქტურის შემოღებამ ცხოვრება და სამუშაო პირობები არაჩვეულებრივად გადაასხევაფერა. 1950 წლისათვის უკვე საჭირო მუშათა ძალის ნახევარმა გაყიდვის პოტენცილი 150%-ით გაზარდა და შრომის პროდუქტია თითქმის ხუთჯერ მეტად. მხოლოდ საბჭოთა კავშირის და იმავე წესით მმართველ სხვა კომუნისტურ ქვეყნების საერთო სენია მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კრიზისი.

„ჩვენი სამშობლოს დღევანდელი დღის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის... ეს არის თუ გნებავთ, საბჭოთა ადამიანის მთელი თაობის აღზრდის პროგრამაც“-ო გაიძახის ბრეჟნევი ა.ლ.კ.კ.-ს მეთვრამეტე ყრილობაზე, 1978 წ. აპრილში, რაც მუდმივ დღეიზად გახდა ს.ს.რ.-ის მთელი სამეურნეო საქმიანობის, მაგრამ დღემდე მაინც ვერ შეუმოცილებიათ სამარეველო პროდუქციის წარმოების თვითღირებულება, ვერ განუვითარებიათ ტექნიკური ნოვატორობა, ვერ აუმაღლებიათ შრომის ნაყოფიერება. ვერც სოციალისტურმა შეჯიბრებამ, ვერც დამკვერლთა ბრავადებმა და მათთვის დაწესებულმა საპატიო წოდების დარიგებამ, ვერც მწერლების ჩაბმამ სოფლის მეურნეობის პროპაგანდაში და ვერც ბრეჟნევის წიგნმა „ყამირი“-მა, რომელმაც თურმე „აღაფრთოვანა, დარჩაზმა და ფრთა შესხა ადამიანებს უღებ მოსავლისათვის საბრძოლველად“, ვერ უშველეს პროდუქციის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

პურზე ზრუნვა ადამიანის ყველაზე უმთავრესი საზრუნავია და ბრეჟნევიც თავის ნაქებ „ყამირს“ იწყებს სიტყვებით: „თუ პური არის მრავალკომიერი იქნება„-ო.

გემის მიხედვით 1959-65 წლებში სსრკ-ის სოფლის მეურნეობის პროდუქტია 70%-ით უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ის 10%-საც ვერ აღწევს. 1963 წელს სსრკ ითვლიდა 107,5 მილიონ ტონა მოწვეულ მარცვლეულს, რაც ერთ-ერთი მიზეზი გახდა ხრუმჩოვის გადაყენების. ამ წლიდან დაწყებული, მოსკოვს ყოველწლიურად შეაქვს ამერიკიდან 10-13 მილიონი ტონა მარცვლეული. 1972 წელს კი საბჭოებს მარტო ამერიკიდან შეუტანია 15 მილიონი ტონა ხორბალი, ხოლო მაკ ნამარას სიტყვით, 1973 წელში მოსკოვს დასავლეთში მუშყყიდა არანაკლებ ოცი მილიონი ტონა და ეს იმდროს, როცა მოუსავლიანობის გამო ბენგალის და ეთიოპიის დამწვეულ ხალხს უნდა ეხმარებოდნენ. იმავე წელს „ევროპის საერთო ბაზარი“, რუსს, რომ პურზე წასაცხები ჰქონოდა, 200.000 ტონა კარაქს ნახევარ ფასად მიჰყიდის საბჭოებს, რომლებიც მას 180 მანეთად ჰყიდიან თავიანთ მოქალაქეებზე.

რაც 2,5 საათის მუშაობის ხელფასს უდრის—აი კრემლის ბატონების სოციალისტური კუმანიურობა. 1975 წლის მარცვლეულობის მოსავალი რომ გადაერჩინა, საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთი საბატო ტიტული შექმნა—„ლეწვის გმირი“, მაგრამ ესეც ვერ შევლის საქმეს. თუ მაგალითად, ნოვოსიბირსკის მხარეში 450 საღვწე მანქანა გაჩენებული იყო საჭირო გამოსაცვლელი ნაწილების უქონლობის გამო, 50% ახალი საღვწე მანქანები, რომლებსაც კრანოდარის მხარე დებულობს დეფექტიანობის გამო უნოქმედოდ დგას, რის გამოც სისტემატიურად ჩივიან თვით საბჭოთა გაზეთები.

1975 წელშიც საბ. კავშირი ყიდულობს 18 მილიონ ტონა ხორბალს ამერიკის შ. შტატებიდან და კანადიდან, ევროპის საერთო ბაზრიდან 30.000 ტონა ხორცს. პირველად 1976 წელს აღიარებს მოსკოვის მთავრობა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას. მარცვლეულობის გარდა ვერ იშოვით ხახვს, სალათს, ვაშლს, ბალსა და მარწყვს; ხორცი, კარაქი და კვერცხი რაციონალიზებულია, რის მიზეზად წვიმიანი კვირებია დასახელებული. ამ წლის კატასტროფული მდგომარეობის განტეგების ვაცი სოფლის მეურნეობის მინისტრი პოლიანსკი გახდა—მინისტრობიდან გადააგდეს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ვერ იშოვით აგურს, ფეხსაცმელს ვერ შეაკეთებინებთ, სამქედლოში ტენს ნალეს ვერ გამოაცვლევინებთ, მოსწავლისთვის ფერად ფანქარებს ვერ იშოვით, ცოცხი თუ გნებათ, თავად უნდა შეკრათ ტყეში, თევშები სანთლით უნდა ეძებოთ, ელნათურა თუ გადაგეწვათ, სიბნელეს უნდა შეეჩვიოთ, ვინაიდან სანთლებს ეკლესიებიც კი ვერ შოულობენ... ეს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონით, არამედ ამოკრეფილი მაქვს ხანგრძლივი ჩხრეკის შედეგად, საბჭოთა გაზეთებიდან.

სსრკ-ს სოფლის მეურნეობის კრიზისის ბოლო არ უჩანს, 1978 წლის მოუსავლიანობის გან თავი რომ დაეზღვია, საბ. კავშირმა იყიდა 33 მილიონი მარცვლეული, აქედან 15 მილიონი ტონა ხორბალი. ამერიკის ორიმესამედი მთელი ექსპორტისა მიღის საბ. კავშირში. იმავე წლის მაისამდე ამერიკას საბჭოებისთვის მიუწოდებია აგრეთვე 70 მილიონი ტონა ბრინჯი და იმავე თვეში დამატებით უკეთავს 1,15 მილიონ ტონას, ხოლო ევროპის საერთო ბაზარი კი აწვდის 85.000 ტონა ხორცს.

დაბოლოს, ციფრებით თავი რომ მეტად არ მოგაბებრთო, 1979 წლის ბოლოში მოწვეულ კომპარტიის ც. კომიტეტის სხდომაზე, ბრეჟნევიც ველარ გაეცა ეკონომიური გეგმების ვაკორტების აღიარებას, მარცვლეულობის მოსავალი, მისი განცხადებით, მხოლოდ 179 მილიონ ტონას უდრიდა, ე.ი. 47 მილიონი ტონით ნაკლები, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული(მაშინ, როცა ამერიკის ფერმერებმა 300 მილიონი ტონა მოსავალი მოიწიეს). სოფლის მეურნეობის მინისტრის აზრით საბჭოებს 235 მილიონი ტონა ესაქიროებოდა, მაგრამ არ იციან ვისგან შევისონ 56 მილიონ ტონის დანაკლისი, ვინაიდან ამერიკამ დაპირებული ტონაეი საკმაოდ შეუკვეცა ავღანეთზე თავდასხმის გამო და სხვას კი ვის შეუძლია საბჭოების შველა? არგენტინას ორი მილიონი ტონაც ვერ ჩაუბარებია და მისი დაპირება მომავალ ხუთი წლის განმავლობაში წლიურად ოთხი მილიონი ტონის ჩაბარებისა საქმეს ვერ უშველის.

შეებო რა სხვა საგნებით მომარაგებას, ბრეჟნევის ვერ აუხსნია: თუმცა რძეს ბლომად ვამზადებთ, რძის პროდუქტები მაინც უკმარიაო. განსაკუთრებით ხორცის ნაკლებობას ჩივის და პასუხისმგებელ მინისტრებს ემუქრება ორგანიზებულად ვერ აწყობთ პირუტყვის გამოზამთრებასო. ასახელებს აგრეთვე ვაჭრობაში ისეთი ყოველდღიური მოხმარების საგნების შეფერხებებს, როგორცაა: უმარტივესი მედიკამენტები, საპონი, სარეცხი ფხვნილი, კბილის ჯაგრისი და ბასტი, ნემსი, ძაფი, ბავშვის თეთრეული და სხვა და ბრალს დებს ვაჭრობის მინისტრს და წარმოების მინისტრს: „უნდა მოვქებნოთ კონკრეტული დამანაშავენი თითოეული დეფიციტისა, რომელიც გამოწვეულია გულგრილობით, უპასუხისმგებლობით, დოყლაპობით. უნდა დავსაჯოთ ისინი და მოუწოდებს რა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ და გვალიფიკაციურ კადრების დროულ მომზადებაზე, მუშაობის მთავარ მიმართულებად სახავს ტრაფარეტად გადაქცეულ ფრაზებს: სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ გაჩაღებას, გაუმჯობესებული მეთოდების მხარდაჭერას და გავრცელებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს რომ უწყობენ, მომპირანობის რეჟიმის და ბატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, შრომის დისცი-



პლანის დარღვევების და მოღუფების წინააღმდეგ ბრძოლას და ცანტრალიზებული სახელმწიფო სის განმტკიცებას დაგეგმავსა და მართავს. აგარაული ნაწარმოების არა მარტო ხორცი, მარტვეული და კარაქი აკლია საბ. კავშირს, არამედ კარტოფლი, ბოსტნეული, ხილი და საერთოდ კვებისათვის საჭირო ყველა პროდუქტი, ამასაც ისევ ბრეენევი აღიარებს მოსკოვის მისი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კრებაზე 1978 წ. 2 მარტს.

კეთილ და პაციონსანი, მაგრამ ვეითხებით: შეუძლიათ მომხმარებლებს იყიდონ თუნდაც ის, რასაც მათ აწვიდნენ? სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ.კ. ბაიბაკოვი მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასს 167,3 მანეთით საზღვრავს. ეს იმის მეოთხედზე არააა, რასაც, მაგალითად, დასავლეთ გერმანიაში იღებენ და სადაც, წარმოიდგინეთ, შეგირდებიც გაცილებით მეტ გასამრჯელოს იღებენ.

ერთი გვირგვამა პურის ფქვილისთვის საბჭოელი თუ 25 წუთი მუშაობს, ამერიკელი მას ხუთი წუთის ხელფასით ყიდულობს; რასაც საბჭოთა მოქალაქე ერთ კილო კარტოფილში იხდის, იმ ფასად დასავლეთში არა ნაკლებ ხუთ კილოს იყიდნენ; კილო ღორის ხოცისათვის ილუსტრირის მუშამ ფედ. გერმანიაში 50 წუთი უნდა იმუშაოს, იმავე კატეგორიის საბჭოელმა ხუთჯერ მეტი; 12 კვერცხის საყიდად საშუალო ამერიკელს 12 წუთის მუშაობა სჭირდება, საბჭოელს 116 წუთი; ერთი ცალი საპონისთვის ამერიკელი ოთხი წუთით ირჯება, საბჭოელი არა ნაკლებ 23 წუთისა; ერთი წყველი ნაილონის ყელიან წინდებს ამერიკელი 17 წუთის ხელფასით იძენს, საბჭოელმა კი 112 წუთი უნდა იმუშაოს მის საყიდად და ა.შ.

სახელმწიფოს ძირითად პრობლემად ითვლება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, რისთვისაც კომუნისტურ ქვეყნებს საერთოდ და კერძოდ საბ. კავშირს ვერ მიუღწევიათ. კაპიტალისტური ქვეყნები ჰკვებავენ მათ, ხოლო ამ ყურნალის წინა ნომინირი ხომ დავინახეთ თუ რამდენად დამოკიდებულია მათი ინდუსტრიაკ კაპიტალისტურ დასავლეთში, რომლის მისამართიაც უნდა ითქვას, რომ ის თავის ფიქრებში შორს მიდის თუ ის საბ. კავშირში ახალ ბაზარს ხედავს თავისი ჰარბი საქონლისათვის. ვაი თუ სინამდვილემ მალე დაგვანახოს, რომ ყოველი სახის ხელშეკრულება და სავაჭრო გარიგება მოსკოვთან მხოლოდ საიდებსაწაულო უგერტურაა კომუნისტური მსოფლიოს შექმნის. თავისუფლების მოყვარული დასავლეთის დემოკრატია თუ დროზე არ გამოფხიზლდა და ერთი საერთო ენა არ გამოინახა დაღუპვის გზაზე შექანება. ეს მას აქამდეც უნდა შეეგნო. რუსეთის სავაჭრო იმპერიალისტური პოლიტიკა ხომ, არა თუ კომუნისტური რეჟიმის დამყარებიდან, არამედ ცარილისტური ეპოქიდან დაწყებული ამის საკმარის მაგალითს იძლევა.

დავით ვაშაძე

ანდრეი სახაროვის 60 წლის თავი

„თ.ტ.“-ს მკითხველებმა იციან, რომ აკადემიკოსი ან. სახაროვი ადმინისტრაციულ გადასახლებაში იმყოფება ქ. გორკში 1980 წლის 22 იანვრიდან. მას წელს 21 მაისს 60 წელი შეუსრულდა დაბადებიდან. ამასთან დაკავშირებით, დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში იმართება მეცნიერთა თუ სხვა პოლიტიკურ, საზოგადოებრივი და ჰუმანიტური დარბის გამოჩენალ მოღვაწეთა მანიფესტაციები, რომლებიც ულოცავენ იუბილარს და მოთხოვენ მის გადასახლებიდან განთავისუფლებას და მისთვის ნორმალურ ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების უზრუნველყოფას.

პირველ და ორ მაისს, ნიუიორკში, აკადემიკოს სახაროვის საპატივემოდ შეიკრიბა საერთაშორისო მეცნიერთა კონფერენცია, რომელმაც მისასალმებელი დებუმა გაუგზავნა გამოჩენილ რუს მეცნიერსა და ადამიანის უფლებათა დამცველს, კონფერენციის მონაწილეებს შემდეგი მიმართვა გაუგზავნა პრეზიდენტ რ. რეიგანმა:

„მე ბედნიერი ვარ შეგუერთო თქვენსას ჩემი მილოცვა ანდრეი სახაროვს მისი სამოცი წლისთავის გამო.

სახაროვი ერთ-ერთი ნამდვილი სულიერი გმირია ჩვენი დროისა. გამოჩენილმა





მეცნიერმა, რომელსაც შეეძლო ეცხოვრა მშვიდად და ფუფუნებაში, ყველაფერი სასურველად და, რათა დაეცვა ადამიანის უფლებები და თავისუფლება. თვით უმძიმეს დევნის პირობებში ის ერთგული დარჩა ამ მოწოდების.

სახაროვი რუსი პატრიოტია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, რადგან ის თავის ხალხის სიღიადეს ხედავს არა საგარეო დაპყრობებში, არამედ მის შინ თავისუფალი და საზოგადოების მიერ მიღებული კანონების დაცვის შენებაში. მისი პრინციპიალური განცხადებები თავისუფლებაზე და მშვიდობაზე აძლიერებენ ჩვენს რწმენას ამ იდეებისადმი.

ულრმესი იმედით, ჩვენ ვლოცულობთ, რომ შეწყდეს მისი გადასახლება და, რომ მას ებოძოს ხანგრძლივი შემოქმედებითი სიცოცხლე, მეცნიერებისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.“

სახაროვის იუბილეს დღე, 21 მაისი საფრანგეთში დამთხვა ახლად არჩეულ პრეზიდენტის, ბ. ფარანსუა მიტერანის აღზევების დღეს საფრანგეთის უმაღლეს მავსიტრის თანამდებობაზე.

გამოჩენილ ფრანგ მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეთა მნიშვნელოვანმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები და ამნისტი ინტერნაციონალის წარმომადგენლები, სცადა საბჭოთა მთავრობისადმი სახაროვის განთავისუფლების თხოვნა გადაეცა პირადად საბჭოების ელჩისათვის პარიზში. დელეგაცია საელჩოში არ შეუშვეს და ვერც მიმართვის გადაცემა მოახერხეს. დელეგაციამ საბჭ. მთავრობისადმი მიმართვის ასლი გადასცა პრეზიდენტ ფ. მიტერანს.

ამავე დღეს, ქ. ნიუიორკში, ქალაქის მერიის სასახლეში, ანდრეი სახაროვის საიუბილეო მიღება მოაწყო ქალაქის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა. კრებაში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის გამოჩენილმა პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა, მეცნიერებმა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა, უკანასკნელ წლებში სსრკ-დან გადმოხვეწილთა და ჰუმანიური საზოგადოებების წარმომადგენლებმა. კრებას თავმჯდომარეობდა ამერიკის წარმომადგენელი გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში, ქალბატონი დ. კირკპატრიკი. ნიუიორკის მერმა, ბ. ელუარდ კოჩმა ქალაქის სიმბოლური გასაღები გადაცა ა. სახაროვის ვერს, ტატიანა იანკელევიჩს, ნიშნად იმისა, რომ: „ქ. ნიუიორკი მუდამ ღიაა და მზადაა მიიღოს გამოჩენილი რუსი მეცნიერი და ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლი აკადემიკოსი ან. სახაროვი.“ კრების ყველა დამსწრემ ხელი მოაწერა სახაროვისადმი მიხალცი მიმართვას.

ანალოგიური მიტინგები და მანიფესტაციები გაიმართა კოპენჰაგენში, ოსლოში, მიუნხენში, მადრიდში, სადაც იმ დროს მიმდინარეობდა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ხელშეკრულების სახელმწიფოთა კონფერენცია და მსოფლიოს სხვა ცენტრებში და პერიფერიებში.

გრიგოლ წერეთელი

ამ საერთო მოძრაობას, რომლის მიზანია თანაგრძნობა და თანდაგობა გამოუცხადოს მსოფლიოში ქვეშარტი მშვიდობის, თავსუფლების და კანონიერების მებრძოლთა საყოველთაოდ აღიარებულ დიდ რუს წინამძღოლს, აკადემიკოს ანდრეი სახაროვს და დაგმოს საბჭოთა ხელისუფლების პოლიციური რეპრესიები მის მიმართ, სიამოვნებით უერთდება „თავისუფლების ტრიბუნაც“; აკადემიკოს ანდრეი სახაროვს ვულოცავთ დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელობასა და გამძლეობას, მისი ძვირფასი საკაცობრიო მნიშვნელობის იდეალების გამარჯვების სამსახურში.



გ ა მ ო ხ მ ა უ რ ე ბ ე ბ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ა მ ბ ე ბ ზ ე

თებერვალი მაისში

საბჭოთა ხელისუფლებმა საქ. „გასაბჭოების“ და კომპარტიის დაარსების 60 წლისთავი იზეიმეს 22-23 და 24 მაისს, თბილისში. ვერ ვიტყვით თუ რამ განაპირობა ამ თარიღის არჩევა, ეს უდევს სარჩულად ვადის თებერვლიდან მაისში გადმოტანას. ოფიციალურად ვითომც კი გამოიწვია იმან, რომ თებერვალში ადგილი ჰქონდა სსრკ-ს კომპარტიის 26-ე ყრილობას. მაგრამ ყრილობა დიდ ხანს არ გაგრძელდებულა და „ზეიმის“ დავიანების ნამდვილი მიზეზი უეჭველად სულ სხვა იყო. სავარაუდებელია, რომ ბრეჟნეს, რომლის დასწრებაც აუცილებლად იყო მიჩნეული, ან ჯანმრთელობა ან თავისუფალი დროს უქონლობა, უფრო ადრე დასწრების საშუალებას არ აძლევდა.

„დღესასწაულში“ მონაწილეობის მისაღებად საქართველოში მოიპატიეს კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ოფიციალური წარმომადგენლები, უმთავრესად კომპარტიათა პირველი მდივნების მეთაურობით. ამ საბჭოთა „გოთას“ შეკრებას პირადი დასწრებით აბედნიერებდა პიროვნების კულტის მწვერვალზე მყოფი ლონდი ილიას ძე ბრეჟნევი, რომელსაც მხარს უმშვენებდა სსრკ-ს შეიარაღებულ ძალთა აღლავიცია, ჩინ-მენდლებით გატყუილ თავდაცვის მინისტრ უსტინოვის მეთაურობით(ამას ალბათ ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა).

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს „ზეიმი“ ჩატარდა, საბჭოთა რეჟიმისათვის ჩვეული, ბაქიობით და ისტორიულ ფაქტების გაყალბებითამ მხრით ტონს აძლევდა სკკპ-ს კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქ. სსრ-ს კ.პ.კ.-ს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოსადმი.

სადაც სხვათაშორის ნათქვამი იყო: „ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საქ-ს მუშათა კლასმა, მშრომელმა დღეობამ, პროგრესიულმა ინტელიგენციამ, რუსეთის პროლეტარიატის, წითელი არმიის ძმური დახმარებით ცხარე ბრძოლაში დაამხეს ბურჟუაზიისა და მისი მენშევიკი დამპყმების რეაქციული ძალაუფლება, გაანადგურეს უცხოელი ინტერვენტები და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.“ შეეარდათ რაღა შეეარდნათ იქნებოდა თუ კრემლის ხაზიენების ნოტებს აუტყვია და მანაც იგივე ტონზე ჩააბუღებულა: „დღეს, როცა თავის მესამოცე წლისთავს ზეიმობს, საბჭოთა საქართველოს თითქოს თვალწინ უტოცხლდება თავისი ისტორია, იგი კიდევ და კიდევ ავლებს გონების თვალს 1921 წლის დაუვიწყარი თებერვლის დღეებიდან გამოვიღო გზას, როცა საბჭოთა რუსეთი, უცხოეთის ინტერვენციით თავად დაუძღურებელი, სამოქალაქო ომით გაჩანაგებული, გამოეხმარა საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა თხოვნას და მოძმე ხალხს დასახმარებლად მოუვლინა გმირული მეთერთმეტე წითელი არმია“-ო.

შეეარდათის ცრუპენტელობაზე ჩვენ ქვემოდ უფრო დაწვრილებით შეეჩერდებით, აქ კი „დღესასწაული“ ზოგიერთ სხვა კუთხეს შევეხებით. პირველი ეხება ბრეჟნეს. ოფიციალურად ის საპატიო სტუმარი იყო. მაშინ საკვირველი სტუმრობის წესები ჰქონიათ რუსებს, როდის ან რომელ ქვეყანაში იყო სტუმარი რომ მასპინძლებს ქვედა ასწავლიდა და მითუმეტეს მბრძანებლობდა? შექების პირველი სიტყვების შემდეგ, ბრეჟნემა მის „მასპინძლებს“ უთხრა: „ზემოდ ნათქვამი როდი ნიშნავს, რომ თქვენ არა გაქვთ სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებები მუშაობაში. სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც საკმაოდ არის. უახლოეს წლებში საქ. უნდა დაწინაურდეს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი არსებითი მაჩვენებლის მიხედვით. მაგალითად, თქვენ ჩამორჩით სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მეტადრე ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მხრივ. მრეწველობაში ჯერ კიდევ დიდი გაქვთ კადრების დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები. უფრო სწრაფად გახრთებთ ახალ სიმძლავრეთა ათვისება. დაჩქარებულ ტემპს მოელის მთელი რიგი მსხვილი საწარმოების რეკონსტრუქცია, ახალგაზრდა ნავთობრეწველობის, მანგანუმის, სპილენძის მადნის მომპოვებელ სიმძლავრეთა განვითარება. ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი აგრეთვე საბინაო და მთელი რიგი სხვა სოციალური პრობლემების გადასაქრელად...“ ამ უჩვეულო „სადღებრძელოდან“, სხვათა შორის, იმასაც ვგებულობთ,



რომ საბჭოთა საქართველოს დღევანდელ პარტხელმძღვანელებს ბევრი არაფერი ეჩვენებოდათ თავმოსაწონი და სატრაბახო და მათაც ალბათ იგივე ბოლო ელთ მათი უმადლესი კომპანისა „უფროსი ძმებისგან“, როგორც ვასილ მქავანაძეს და მის კომპანისა.

ელუარდ შვეარდნაძემ ზუსტი მოიწვლია და ხაზინის როზგებს მონური მორჩილებით უპასუხა: „ჩვენ მუდამ გვეხსომება თქვენი დღევანდელი სიტყვა—შესანიშნავი, ღრმა შინაარსიანი, ლენინურად ბრძნული... პრობლემები და სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენ, სამწუხაროდ, მართლაც საკმაოდ გვაქვს... თავს ნებას მივცემ ალგიტყვით, რომ ყველა თქვენს რჩევა-დარიგებას, რეკომენდაციას და მითითებას უთუოდ შევასრულებთ... თქვენთვის დამახასიათებელმა არაჩვეულებრივმა, უფაქიზესმა ტაქტმა, ლენინი ილის ძვე, ამ საიუბილეო დღეებში ძვირი არ გათქმევინათ ჩვენს სხვა ნაკლოვანებებზე, არ გათქმევინათ უფრო მკაცრად, უფრო მომთხოვნელად. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა ნაკლოვანებებია ეს, და რამდენი გვაქვს ისინი ეკონომიკაშიც, სახალხო მეურნეობის მართვაშიც, შინაგანი რეზერვების გამოყენებაშიც. ბევრი, ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ დავდლოთ მოდელისა და მოშვების, უდისციპლინობის ელემენტები; სამწუხაროდ, დღესაც გვიხდება იმის თქმა, რომ ბოლომდე არ ამოგვიძეკავს ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა. ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მუშაობაში“ აი, აქ მარხია ძალის თავი ბრეჟნევის ბუზღუნისა და შვეარდნაძის გოდებისა: მათ ვერაფრით ვერ ამოუძირკვავთ ქართული ხალხის შეგნებიდან, საბჭოებისათვის მართლაც უცხო, და ნეგატიური, ეროვნული ადამ-წეს-წინა-ჩვევები-ტრადიციები, მშობლიური ენის და კულტურის სიყვარული და მათი უღალატობა, ქართველობით სიამაყე და მისი ერთგულება.

22 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქყნებულია ბრეჟნევის თბილისის აეროდრომზე ჩამოსვლა. ჩანს უმადლესი „სტუმრის“ მიღება ქალბატონ ვერიკო ჯაფარიძეს რგვბია. სურათზე მას ბრეჟნევისთვის მხრებში ორივე ხელი ისე ჩაუბლულავს თითქოს მკერდში უნდა ჩაიკრას. აფსუსი! მის პოზაში ნატამალიც არაა ქართული ხანდაზმული მანდილოსნის ტრადიციული კდემამოსილებისა და ღირსებისა.

გ. ლუბაშვილი

„რუსკაია მისლ“-ის ორი წერილი საქართველოზე

პარიზის ყოველკვირეულმა გაზეთმა, „რუსკაია მისლმა“ დაბეჭდა ორი საყურადღებო წერილი საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ამბებზე, რომლებიც სხვა წყაროებით არ დადსტურებულა. ქვემოდ ვებეჭდავთ მათ სიტყვა-სიტყვით თარგმანს.

„საქართველოში მომხდარი უკანასკნელი ამბები“

ვუსმენ ადევლებულ, ცოტა არეულ მოთხრობას დამსწრე ქალისას. ეს მოხდა 14 აპრილს, ქართული კულტურის დასაცავად 1978 წელში მოწყობილ მანიფესტაციების წლისთავეზე, მცხეთის ტაძარში შეიკრიბა დაახლოებით ხუთასი კაცი. ვათვალისწინებელი იყო, რომ გადახდილი იქნება პარაკლისი საქართველოსათვის და შემდეგ მოსმენილი იქნება მაგნიტოფონებზე ჩაწერილი ძველი ქართული სიმღერები.

ჩანს, რომ მთავრობამ იცოდა უკვე ადრე ამ მზადების შესახებ. მათ გამოაცხადეს, რომ ქალაქში ამ დღეს ჩატარდება დიდი სპორტული შეჯიბრება, რის გამო ამ დღეს მცხეთაში არ შეიძლება მოსვლა, არც მატარებლით, არც ავტომობლით. მიუხედავად ამისა ბევრმა შეძლო მოღწევა. ზოგიერთი გაბედული ნაგებობა მოუტრუნენ მდინარე მტკვარზე. დამსწრეთა შორის იყვნენ ბევრი ახალგაზრდები. ამბობდნენ, იყო თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.

როცა დამსწრეებმა ცადეს მაგნიტოფონების ჩართვა, მთელ ქალაქში ელდენი იქნა გამოთიშული, მაგრამ ხალხი ამას არ დაემორჩილა—მთელ ქალაქში გაისმა უძველესი ქართული მელოდიები და რელიგიური გალობები. მღეროდა მთელი ხალხი და შემთხვევით გამვლენიც უერთდებოდნენ მომღერლებს.

მცხეთაში მომხდარ ამბის რამდენიმე დღის შემდეგ, თბილისის უნივერსიტეტში



მოულოდნელად მივიდა საქ-ს კ.ა.კ.-ს პირველი მდივანი შევარდნაძე. დაახლოებით ასამდე სტუდენტი შეგროვდა, რომლებმაც მოითხოვეს ხმამაღლა წაკითხულიყო 1978 წლის მანიფესტაციის პეტიცია, ქართული ენის დასაცავად, რაზედაც შევარდნაძემ კატეგორიულად უარი განაცხადა. მაშინ ყველა სტუდენტმა დატოვა დარბაზი.

პარიზის მანიფესტაცია მესამეა ამ უკანასკნელ ორ თვეში. ქართული კულტურის დასაცავად, ორი მასიური მანიფესტაცია ჩატარდა თბილისში 23 და 30 მარტს.

სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის უკანასკნელ დროს, რომ უზარმაზარ საბჭოთა იმპერიაში ადგილი აქვს მასიურ მღელვარებებს. ეროვნული სული, რელიგიური მოტივები, ვაჟაკობა, სიმტიცე, ღირსება— არ შეიძლება ყველაფერმა ამან არ აღგავფროვანოს. მწარეა ამავე დროს იმის აღიარება, რომ ბევრი ამ მოძრაობათაგანი, რომელთაც მიზნად აქვს ეროვნული ტრადიციების აღორძინება, მივიღროდ არიან გადახლართული ანტირუსულ განწყობილებასთან(და არა ანტი საბჭოურთან).

კომუნისტური სული ერთთავად უცხოა ნებისმიერი ეროვნული კულტურის— ესტონურის, ქართულის, ყაზახურის ან რუსულისა, განუჩეველად. კომუნისტები ისევე შეუწყალებლად ანადგურებენ რუსი ხალხის ეროვნულ და რელიგიურ საფუძვლებს, როგორც მათ ხელისუფლებაში მყოფ სხვა ხალხებისას. კომუნისტები სპობენ რუსულ კულტურას და ამახინჯებენ რუსულ ენას. დღეს კი საბჭოთა გულაგებში აირიკიანის, ანტანას ტერლექის, მარტ ნიკულს, მუსტაფა ჯემილევის გვერდით იმყოფებიან რუსი პატრიოტები: იგორ ავურცოვი, ვლადიმირ ოსიპოვი, გლებ იაკუნინი, ვლადიმირ პორეში და სხვები. და ყველა მათზე მე ვფიქრობდი, როცა ვუსმენდი მღელვარე მოთხრობას საქ-ს უკანასკნელი ამბების დამსწრე-სას.

არინა გინზბურგი*
(რუსკაია მისლ“ №3359.7.5.1981)

„ცნობები საქართველოდან

1980 წლის 29 დეკემბრის ზვიად გამსახურდიამ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა სს.რ.კ-ს კ.ა.კ. კომიტეტს, რომელიც მაშინ ყრილობის მოლოდინში იყო და ლ. ი. ბრეჟნევი: „19 დეკემბერს, 1980 წელში, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში—საინგილოში, კახის რაიონულ ცენტრში(ამჟამად ეკუთვნის აზერბაიჯანის სს.რ-ს), აზერბაიჯანის მილიციამ დააპატიმრა ქართველი ხუცესი, მოსე ათარაშვილი, სანთლების ანთებისათვის „პატარა ალვერდის“ ეკლესიაში, სადაც მისი წინაპრები ლოცულობდნენ.

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც კახის რაიონის ქართველი მოსახლეობა თხოვნით მიმართავს ზემდგომ ორგანოებს ნება დართონ ამ ეკლესიის გახსნის(რამდენადაც საინგილოში საერთოდ მოქმედი ეკლესია არ არსებობს), მაგრამ მათ ყურადღებას არაფერ აქცევს, თუმცა, საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად, ოც მორწმუნის სურვილი საკმარისია, რომ გაიხსნას ეკლესია. აქ კი არაფრად აგდებენ ასეულ მორწმუნეთა სურვილს. უფრო მეტი, ყოველი კანონის და უფლების(კონსტიტუციონალური) დარღვევით, კახის რაიონის სახალხო დემუტატების საბჭომ ოფიციალური უარით უპასუხა მორწმუნეებს(წერილი №324, 1980 წლის 16 ივლისის თარიღით). ახლა კი დამატებით დააპატიმრეს მღვდელი. თუმცა ის რამდენიმე დღის შემდეგ გაანთავისუფლეს, მაგრამ აზერბაიჯანის მილიცია აშინებს მორწმუნეებს, რომ მათაც ასევე დააპატიმრებს, თუ ილოცებენ ეკლესიაში. ნუთუ ჩვენი ქვეყანა ალბანეთად გადაიქცა?

გთხოვთ მიიღოთ ზომები ამ გაუგონარ უკანონობის წინააღმდეგ, დააკმაყოფილოთ მორწმუნეთა სამართლიანი თხოვნა და დასაჯოთ კახის რაიონის მილიციის დამნაშავე თანამშრომლები, რომლებმაც ცემის და გაკრიკეს მღვდელი.“

„ცნობილი გახდა უფრო ადრინდელი მიმოწერა ზვიად გამსახურდიასა და ვაზეთ „პრავედას“ შორის. 1979 წ. 25 ივლისს მან წაიკითხა ვაზეთ „პრავედაში“(6.07.1979) მისი განთავისუფლების შესახებ, რის გამოც მან ვაზეთის რედაქციას მისწერა: „თქვენი წერილიდან ჩრება შთაბეჭდილება, ვითომც მე ხაზი გადავუსვი მთელ ჩემ წარსულ მოღვაწეობას, მაშინ, როცა მე დავგმე მხოლოდ ჩემი შეუძლოები. რაც შეეხება ჩემს ძირითად საქმიანობას, პატრიოტულს და ჰუმანიტარულს, მის შესახებ

„მე არ მომინანებია. მე მოვიწინავე მხოლოდ ზოგიერთი ემიგრანტული და თვითმპყვავილობითი მასალების გაგრძელებას.“

გთხოვთ იქონიოთ მხედველობაში ყველაფერი ეს, თუ შემდეგში ინებებთ გამოქვეყნებას რაიმესას ჩემს შესახებ. გთხოვთ აგრეთვე გამოაქვეყნოთ ეს წერილი.

ზვიად გამსახურდია.“

7.09.1979-ის „პრავდაში“, ამ წერილის საბასუხოდ ნათქვამი იყო: „სამწუხაროდ თქვენი წერილის გამოქვეყნება არაა შესაძლებელი. თქვენი საქმის შესახებ სხვა პუბლიკაციები აგრეთვე გეგმაში არა ვვაქვს.“ ხელს აწერდა გაზეთის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილება-ვ. ხალინი.“

„რუსკიაი მისლ“ №3362. 28.05.1981.)

ლოთობასთან ბრძოლის საკითხზე

სიმაართლე უნდა ითქვას, საბჭოთა საქ-ს პრესაში მართალი და საქმიანი წერილები წაკითხვა ყოველთვის სასიამოვნოა. დიახ, სასიამოვნოა, რადგანაც მართალი და საქმიანი გამოხატულებით საბჭოთა პრესა თავის მკითხველებს არც ისე ხშირად ანებივრებს.

უკანასკნელ დროს ბევრს ლაპარაკობენ და წერენ მომხვეჭელობა-მეჭრთაობა-მუქთაობა-გამორჩენა-წამლველობა-ლოთობაზე. ყველა ამ მანკიერებას უსათუოდ ღრმად აქვს გადგმული ცხოვრებაში ფესვები, თორემ ამდენ საგანგაშო კამპანიებს ადვილი არ ექნებოდა. მაგრამ, ყველა ამ გამოვლინებას მიაწერენ წარსულის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში და ასეთ შეფასებას ახდენენ არა მხოლოდ ოფიციალური ჟურნალისტები, არამედ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები.

ე.წ. წარსულის გადმონაშთებიდან ჩვენ გამოვეყოფთ ლოთობას და შევეცდებით იმის ახსნას თუ რატომ გაიძღა ასე ღრმად მან ფესვები საქ-ს დღევანდელ სინამდვილეში; სად იმალება ამ საშიში სოციალური ავადმყოფობის მიზეზი. ლოთებად არ იბადებიან, ლოთებად ხდებიან ვარემოს ვაგენით. იზი მტკიცება, რომ ლოთობა წარსულის, ბურჟუაზიული წყობის გადმონაშთია-წმინდა წყლის ზღაპარია და ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს. ოქტომბრის გადატრიალების ტოლემბა თმაქაღარა ასაკს მიაღწიეს, გაიზარდნენ, აღიზარდნენ საბჭოთა რეჟიმის დროს და, რაც მთავარია: ბურჟუაზია მათ თვლით არ უნახავთ. ლოთობის ამგვარი ახსნა არასერიოზულია და ანტი-მეცნიერული. ნურავინ იფიქრებს ვინმეს უნიკობას და გაუნათლებლობას ვწამებდეთ, პირიქით, ჩვენი მეკლევარები უსათუოდ ნიჟიერი და ზოგი კარგად განათლებულია. ჩვენი მწარე სიტყვები არა მათდამია მიმართული, არამედ იმ სისტემისადმი, რომელშიც ისინი, საკუთარ სახის დაკარგვით, იძულებული არიან მონაწილეობა მიიღონ. მაგალითად, სოციოლოგების ძირითად ამოცანას სოციალური წინააღმდეგობების და პრობლემების შესწავლა-მხილება შეადგენს. ეს კი მჭიდროდ დაკავშირებულია რეჟიმის პოლიტიკურ-ეკონომიურ-კულტურულ მხარეებთან. ამიტომ სოციოლოგი, ნებისთი თუ უნებლიედ, ხშირად რეჟიმის კრიტიკოსის როლში გამოდის. მაგრამ საბჭოთა პირობებში ასეთი კრიტიციზმი, ღმერთმა დაგიფაროთ, მკაცრად ისჯება. მაგრამ, სწორედ საბჭოთა სისტემა ვახლავთ ნოყიერ ნიადაგს რომ უქმნის ლოთობას. ეს სოციალური ჭირი მოედება საზოგადოების ყველა ასაკობრივ, პროფესიულ და სოციალურ ფენებს. ჩვენი აზრით, ამისი მიზეზია საბჭოთა საქ-ში აღმოცენებული ადამიანთა შორის ურთიერთობის, ურთიერთ კავშირის კრიზისი.

ჩვენს ეპოქაში სივრცისა და დროს გათიშულობის გადალახვა სულ ადვილად ხდება. რადიომ და ტელეხედვამ ბევრი რამ შეუძლებელი შესაძლები გახადა. ნაცნობობის წრე, განსაკუთრებით ქალაქებში, საარაკოდ გაიზარდა.

პირველი შეხედვით ადამიანთა ურთიერთ კავშირისათვის წინანდელი ტექნიკური დაბრკოლებანი იმდენად შეიკვება, რომ საბჭ. საქართველოში ურთიერთობის გაშლა-აყვავება უნდა დაწვებულიყო. მიუხედავად ამისა ადამიანი შინაგან არასოდეს არ ყოფილა იმდენად ეული, როგორც ამჟამად. საბჭოთა რეჟიმის პირობებში ადამიანს ხშირად უწევს



ისეთი როლის თამაში, რომელიც მის ინდივიდუალურ თავისებურებას არ შეეხება მისი დრო მუდამ აღრიცხვაზეა აყვანილი, ის თავის-თავს არ ეკუთვნის და, ბუნებრივია, ნამდვილი ინდივიდუალური არჩევანისათვის მას მეტად ნაკლები შესაძლებლობა გააჩნია, ე.ი. თავისუფალ ურთიერთობას ის მოკლებულია. ხოლო ნამდვილი ურთიერთობა ადამიანებს შორის იძულების ბაზაზე შეუძლებელია, ის აღმოცენდება ხოლმე სპონტანურად ნების-ყოფების თავისუფალ ურთიერთ მოქმედების საფუძველზე. „პანპოლიტიზმის“, ე.ი. ყველაფრის პოლიტიკური ზომის ქვეშ დაყენების ხელოვნურმა, ძალდატანებობამ და სისტემატიურმა დანერგვამ ადამიანის სულში გამოიწვია რიგი სტრუქტურული ცვლილებები. ცხოვრების ყველა სფეროს პოლიტიზაცია, მთელი ატმოსფეროს საპროპაგანდო ფიქციებით გამსჭვალვა ცხადია ურთიერთობის გულითადობას ხელს არ შეუწყობდა. საბჭოთა კავშირში ადამიანს თავისი პიროვნებისთვის დრო თითქმის არ დარჩა. ბოლშევიკურ სახელმწიფოს გიგანტურ მანქანის გარეშე არ არსებობს არავითარი ადამიანური მოქმედება და საქმე, არ არსებობს ცხოვრების არც ერთი კუნძული, სადაც ადამიანი თავის უფლად, თავის ბატონად გრძობდეს თავს. მას ყველგან და ყოველთვის ცივი, უგულვო პარტია-სახელმწიფო ატრიალებს. პოლიკური ძალის ეგზომ ინტერგალური ბატონობა ადამიანზე არასოდეს ხილულა კაცობრიობის ისტორიაში.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირში არ არსებობს სფერო, სადაც ადამიანთა შორის თავისუფალი ურთიერთობა არსებობდეს. კულტურის სფეროში სავალალო ლიტერატურული და ფილოსოფიური წრეების და სალონების აკრძალვა. ამ წრეებში, ინტიმურ-მეგობრულ გარემოში განიხილებოდა ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები. ზედმეტია ლაპარაკი ამ წრეების მნიშვნელობაზე. ამ ინტიმურ წრეებიდან გამოდიოდა ცოცხალი აზრი, რომელიც ფართოდ ეფინებოდა საზოგადოებას.

საბჭოთა ცხოვრების ასეთი სულუმბნუთავი გარემო იწვევს უხალისობას(აბათიას), მაგრამ ადამიანს კი ესაპირობება გართობა, ხოლო პროპაგანდით გაუღწენილი, არსგამოცლილ-გამოფიტული კინო-თეატრი თუ რადიო-ტელეხედვა, ამისთვის უვარგისია. დარჩა ერთ-ერთი კუთხე, სადაც ადამიანი შედარებით თავისუფლად გრძობს თავს— ეს არის სუფრა. სუფრაზე იქარვებს ის რეჟიმის მიერ მიყენებულ სედას, ივიწყებს საბჭოთა დაულაგებელ, დუხჭირ ცხოვრების პირობებს. სუფრას კი დღეის ამშვენებს. მაგრამ, ქართული კაცი სუფრას რომ პოუჯდებდა, დროს ცნება ეკარგება და ამას ხშირად რა მოსდევს, ეს ყელასათვის ცნობილია...

შალვა კალანდაძე

სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები

მწუხარებით ვაუწყებთ მკითხველებს :

მ.წ. 25 მარტს ქ. ლოსანჯელესში (კალიფორნიის შტატი, ამერიკის შ. შტატებში), 75 წლის ასაკში გარდაიცვალა **არჩილ ივანეს ძე გომართელი** და დასაფლავებულია იქვე.

--- --- --- ---

ოც აპრილს, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა **გიორგი-დავით კახაბერი**. 23 აპრილს დაიკრძალა სენტუანის სასაფლაოზე, მშობლების გვერდით.

--- --- --- ---

შაბათს, 25 აპრილს, უეცრად გარდაიცვალა ქალბატონი **ქეთევან(ქეთო) ასათიანი, ხუცი-შვილის ასული**. 29 აპრილს მოხდა დაკრძალვა ლევილის სასაფლაოზე.

--- --- --- ---

ოთხ მაისს, პარიზში, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა **დავით მუჯირი**. 8 მაისს მოხდა დაკრძალვა ლევილის სასაფლაოზე.

--- --- --- ---

20 ივნისს, პარიზში, მოულოდნელად გარდაიცვალა **გივი რუბენის ძე გვეტაძე** და დაიკრძალა ლევილში 26 ივნისს.

--- --- --- ---



შევიტყვეთ, რომ საქართველოში გარდაცვლილა, ემიგრაციაში კარგად ცნობილი და რამდენიმე წლის წინად სემპობლოში დაბრუნებული, სეო სარჯველაძე.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქ. არბაქონის ჰოსპიტალში (საფრანგეთი, სოფ. ლევილის მახლობლად), 82 წლისა გარდაიცვალა, საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს თავმჯდომარე, პავლე სარჯველაძე. პარასკევს სამ ივლის მისი ცხედარი მიზარდა ლევილის სასაფლაოს. ეს ნომერი უკვე აწყობილი იყო, რის გამოც ვანსვენებულის ნეკროლოგი დაიბეჭდება მომავალ ნომერში.

და ჩვენს ღრმად დამწუხრებულ სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ქირისუფალთ.

რ უ ლ ლ უ კ ა რ მ ა ნ ი (ნეკროლოგი)

1980 წლის ნოემბრის სამს, მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ქ. ნიურნბერგში გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი ლიტერატორი და მუსიკათმცოდნე, ქართული კულტურის დიდი მეგობარი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი და სწავლული ჟურნალისტი რუდოლფ კარმანი. რუდოლფ კარმანს უყვარდა ქართული მწერლობა, საეპოქო, და განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძე, რომლის ხსოვნასაც მან მიუძღვნა ვრცელი ნარკვევი—„გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება“—1963 წელში, ქ. შტუტგარდში გამოცემულ ჟურნალ „ოსტეტროპა“-ში. მე წილად მხვდა ბედნიერება ეს ნარკვევი ქართულად მეთარგმნა, რომელიც დაიბეჭდა ქართველოლოგიის კრებულ „ბედი ქართლისა“-ში (1964 წ. №47).

ამ ნარკვევში, კარმანის სხვათაშორის წერს: „გრიგოლ რობაქიძის ღვთისაგან მონიჭებული შემოქმედება დამთავრდა... იგი გადაიქცა ვითარცა სიმბოლო ქართული ლიტერატურისა, რომელმაც ჯეროვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში...“

მე მქონდა აგრეთვე ბედნიერება რუდოლფ კარმანთან მეგობრული ურთიერთობისა, მთელი 15 წლის მანძილზე. ის იყო ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი, ჩამოდიოდა ხშირად მიუნხენში, ჩრებოდა ჩვენთან. მისი სტუმრობა ჩვენივე ბედნიერება იყო. მან იმოგზაურა საქართველოში და იქიდან დაბრუნებულმა ჩამოგვიტანა ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხატი. ერთხელ მას ხმაშალა წაუეკითხე ჩემს მიერ თარგმნილი მისი ნარკვევი. აღფრთოვანებულმა კისერზე მომხვია ხელი: „ლამაზი ქართულით ვითარგმნაო.“ გამეხარა ძალიან. აბა, ქება ვის არ გაეხარდება და მით უფრო ისეთ ადამიანისაგან, როგორც რუდოლფ კარმანი იყო.

როგორც ცნობილია მუსიკმცოდნემ, რ. კარმანმა მოათავსა ვრცელი სტატია ქართულ ხალხურ მუსიკისა და ცეკვის ხელოვნებაზე, დასავლეთ გერმანიის მეტად გავრცელებულ ჟურნალ „ფილმ-ტონ-მაგაზინ“-ში, 1968 წლის ნომერში, სადაც ის წერს: ქართული მუსიკა მართლაც რომ გაუმეორებელი ფენომენია ხალხურ შემოქმედებაში, მისი ძირები ქრისტეს დაბადებამდე, მის შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ბერძნულ მუსიკას საგრძნობლად ჰქონდა ფესვები ვადგმული ქართულ წიაღში და ქართული მუსიკაც მის ერთგვარ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ქართული მუსიკის განვითარების გზები სულ სხვა იყო, ვიდრე ბიზანტიელებისა. ქართული მუსიკა ყოველთვის თვითმყოფადი, ხალხური, ორიგინალური იყო. ქართული მუსიკა თავისი სისადავით იპყრობს მსმენელს. მასში მოცემულია ხალხური პანგები, რაც ქართულ სულს გამოხატავს. ამის საუკეთესო მაგალითია ძველი ქართული ვეპაკატური და სალხინო სიმღერა „ჰასანბეგურა“. მეტად ლირიკულ სიმღერად მიაჩნია, რ. კარმანს ძველი ქართული რაკენო კახური „ნანა“, იგივე „ნანა-ნანინა.“ ეს არის სმენის მომჯადოებელი ვალოზა, რასაც ქალთა გუნდი ასრულებს ხოლმეო, წერს რ. კარმანი. რთულ მუსიკალურ აღნაგობად მიაჩნია ქართული „საქარაწინო“, განცვიფრებულია სხანური „ლილე“-თი, რომელიც წარმოადგენს მზის ხობტას და მილის წარმართულ ეპოქიდანო. ასევე ქება-ღებებით იხსენიებს ხალხურ საგუნდო სიმღერებს „მრავალვამიერს“ და „ჩაქარულოს“. რ. კარმანი თავის ნარკვევში გზა და გზა განიხილავს მეგრულ-იმერულ სიმღერებს. როცა იგი ეხება აღმოსავლეთ საქ-ს ხალხურ მუსიკას, აღნიშნავს სპარსულ-არაბულის საგრძნობ გავლენას. ამის მაგალითად მას მოაქვს „ზაიათი“. შემდეგ, მკვლევარი დიდი ცოდნით აღწერს ქართულ



ეროვნულ საკრავებს: დედუქს, ფანდურს, ჩინგურს, დიპლიბიტოს, დაირას და სხვებს. ზურნა სამართლიანად მიაჩნია აღმოსავლურ საკრავად. შემდეგ, მეკლავარი ეხება ქართულ ცეკვებს. „ქართული“ იწყება ნელი რითმით, ნელი გამოზომილი ნაბიჯებით. ქალები და კაცები ცეკვავენ გრანდოზულად, შემდგარი თითის წვერებზე. ორი ათეული წვლია, რაც „ქართული“ სახელწოდება დამეცოდრდა, წინად მას „ლეკურს“ ეძახოდნენ. ამ სახელწოდების ინიციატორია სახელგანთქმული აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, სახალხო არტისტ ილიკო სუხიშვილთან ერთად. რ. კარმანი დიდ შეფასებას აძლევს „განდაგანს“, მას ვანსაკუთრებით იტაცებს „ხანჯლური“, რომელსაც ხმლებით ცეკვას უწოდებს და ახასიათებს, როგორც ცეცხლოვან ცეკვას. ჩვენი სასიტყულო მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე კი ამ ცეკვას „მზიურს“ უწოდებს. ამ შეფასებაში ისინი ერთმანეთს ემთხვევიან— მზე ხომ ცეცხლია, ცეცხლოვანი.

განსვენებული რ. კარმანი ეწეოდა დიდ მეცნიერულ მუშაობას გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებებში. ამ რამოდენიმე წლის წინად ის შეუდგა მუშაობას ქართულ სასულიერო მუსიკის შესახებ. მას მიეციე ჩვენი დიდი მეცნიერის პავლე ინგოროყვას წიგნი „გორგი მერჩულე“. ამ ნაშრომს რ. კარმანი უწოდებდა კოლოსალურ მეცნიერულ ნაშრომს. არ დაცალდა მას ამ დიდი ქართული საქმის გაკეთება. უღობებლმა სიკვდილმა მოგვტაცა ქართული კულტურის დიდი მოამბე და მეგობარი.

რუდოლფ კარმანი ძალიან განაწყენებული იყო ზოგიერთ გერმანულ ჟურნალისტებზე, რომლებიც, როცა საქართველოზე წერენ მხედველობაში ჰყავთ მხოლოდ სტალინიო. მან ერთხელ მომისიკის შესახებ. მას მიეციე ჩვენი დიდი მეცნიერის პავლე ინგოროყვას წიგნი „გორგი მერჩულე“. ამ ნაშრომს რ. კარმანი უწოდებდა კოლოსალურ მეცნიერულ ნაშრომს. არ დაცალდა მას ამ დიდი ქართული საქმის გაკეთება. უღობებლმა სიკვდილმა მოგვტაცა ქართული კულტურის დიდი მოამბე და მეგობარი.

რუდოლფ კარმანი ძალიან განაწყენებული იყო ზოგიერთ გერმანულ ჟურნალისტებზე, რომლებიც, როცა საქართველოზე წერენ მხედველობაში ჰყავთ მხოლოდ სტალინიო. მან ერთხელ მომისიკის შესახებ. მას მიეციე ჩვენი დიდი მეცნიერის პავლე ინგოროყვას წიგნი „გორგი მერჩულე“. ამ ნაშრომს რ. კარმანი უწოდებდა კოლოსალურ მეცნიერულ ნაშრომს. არ დაცალდა მას ამ დიდი ქართული საქმის გაკეთება. უღობებლმა სიკვდილმა მოგვტაცა ქართული კულტურის დიდი მოამბე და მეგობარი.

რუდოლფ კარმანი ძალიან განაწყენებული იყო ზოგიერთ გერმანულ ჟურნალისტებზე, რომლებიც, როცა საქართველოზე წერენ მხედველობაში ჰყავთ მხოლოდ სტალინიო. მან ერთხელ მომისიკის შესახებ. მას მიეციე ჩვენი დიდი მეცნიერის პავლე ინგოროყვას წიგნი „გორგი მერჩულე“. ამ ნაშრომს რ. კარმანი უწოდებდა კოლოსალურ მეცნიერულ ნაშრომს. არ დაცალდა მას ამ დიდი ქართული საქმის გაკეთება. უღობებლმა სიკვდილმა მოგვტაცა ქართული კულტურის დიდი მოამბე და მეგობარი.

ილია კუჭუხიძე. მიუნხენი. 1980 წელი.

 ა რ ჩ ი ლ გ ო მ ა რ თ ე ლ ი ს კ ე თ ი ლ ი ხ ს ო ვ ნ ი ს ა

არჩილი გახლდათ, ქართველი ხალხის საყვარელი ექიმის, ცნობილი პუბლიცისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ივანე გომართელის ერთადერთი ვაჟიშვილი. ის დაიბადა თბილისში 1903 წლის 30 ნოემბერს. მან საშუალო განათლება მიიღო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ის ვახტანგ კოტეტიშვილის საყვარელი მოწაფე იყო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1925 წლის ბოლოს, მამამ არჩილი გერმანიაში გამოამგზავრა უმაღლესი ცოდნის მისაღებად. გერმანიაში არჩილმა წარმატებით დამთავრა თვითმფრინავთა სააღმშენებლო საინჟინერო და შეიქმნა ღრმა ცოდნა გერმანული და საერთოდ დასავლეთ ევროპული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა: ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა და სხვა.

სწავლის დამთავრების შემდეგ არჩილს გადაწყვეტილი ჰქონდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იმ ხანად მამისგან შემდეგი ჭარბი მითითება: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა მამაციისაგან“-ო. არჩილი მიხვდა, რომ მამას სასურველად არ მიჩნდა მისი საქართველოში დაბრუნება. ზედს დაემორჩილა. დარჩა გერმანიაში და სამსახური დაიწყო ცნობილ „სიმენსის“ ფირმაში, სადაც მან დაპყრო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. 1945 წელს, როცა საბჭოთა ჯარები ბერლინს მოადგა, არჩილი სხვა ქართველებთან ერთად ჯერ იტალიაში გადავიდა, იქიდან სამხრეთ ამერიკაში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლდა და სიცოცხლე დაასრულა ქ. ლოსანჯელესში მიმდინარე წლის 25 მარტს.

სამწუხაროდ ქართული აზროვნებისა, არჩილ გომართელს არ გამოუქვეყნებია ბევრი თარიღის ნააზრებო და განცდებო, ის, რაც მან დაბეჭდა, მასაც არ ვიცნობთ მთლიანად. საჭირო იქნება ემიგრანტულ სხვადასხვა გამოცემებიდან მათი გამოკრება. ის სტატიები, რომლებიც ჩვენ დაგვამახსოვრდა „ბედი ქართლისადან“, მოწმობს მათი ავტორის უძველეს ტალანტს და საფუძვლიან ერუდიციას. არჩილ გომართელი ლექსებსაც წერდა. მისი სულიერი განწყობილების ნიმუშად ქვემოთ ვბეჭდავთ მის უსათაურო ლექსს, რომელიც დაიბეჭდა „ბედი ქართლისა“-ს 1956 წლის აპრილის №21-22-ში.

გული დააზრო წარსულზე ფიქრმა,
მელანქოლია დამეფუღება;
რამდენი დღე მაქვს კიდევ საზიდი,
კრიალოსანზედ ჩამოიფვლება.
მე ისტორიის ნაცარქექია
ვზივარ ბუხართან ოცნებულ მთვრალი;
გაყვებო ფიქრებს ვით ზმანეული,
მუდამ მებრძოლი, ვით ბუცეფალი.
გადავული წარსულს, ვითა ლოცენასა,
მსურს აღდგენ გმირნი ერთად კრებული,
ჩვენ ბრძოლა გვწადის, რომ საქართველო
არ დარჩეს მტრისგან დატყვევებული.
მესმის კვირა დიდ მოურავის,
ასპინძის ომის, მარაბდის ველის,

სამასი რისხვა სამას ხევსურის,
კრწანისის ველი ერეკლეს ელის.
გადავუშვებო ბრძოლის ქარცეცხლში,
ვით ტარიელი ქაჯეთის კლდეზედ,
თქვენი ნუკრი ვარ, ქართული ყლორტი
აღრე დამზრალი კოლხიდის ხეზედ.
დარუბანდიდან ტრაპეზუნდამდე
ქართული რკინა ჰკვეთს მტრის ჩაფხუტებს,
მეც მათთანა ვარ, ომში დაცემულს
სამშობლო მიწა მეც ჩამიხუტებს.
ზამთრის სიცივე აწვება სარკმელს,
რალაც კვიმატი ვაკეივის ტყეში:
„აჰჰ! შენს გმირებს სუყველას სძინავს
შენ მხოლოდ ნატვრამ მოგხარა წელში.“

1955 არჩილ გომართელი

ჩ ვ ე ნ ი	ე უ რ ა ნ ა ლ ი ს	ფ ო ნ დ ი
„დაპყრობის 60 წლისთავზე“-ში გამოცხადებულ სიის შემდეგ მიღებული შემოწირულობები:		
გულნარა ურატაძე	580.00	სოფოს სათვისტომო
რე ზურაბიშვილი	100.00	კვიროსი ჩხაიძე
მილი ზურაბიშვილი	100.00	სანდრო ბარათელი
ოთარ ზურაბიშვილი	100.00	ნიკო თოფურია
ტარიელ ზურაბიშვილი	150.00	დავით ბეზაშვილი
ზეინაზ ზურაბიშვილი	600.00	ირაკლი ოთხმეზური
გრიგოლ წერეთელი	100.00	რადიო „თავისუფლება“
შალვა ცინცაძე	1047.00	დავით ვაშაძე
რად. „თავისუფლების“ რედ.	1.746,59	ვიქტორ ინაშვილი
ნიკო თოფურია	247.77	მართა სტურუა
		30.00
		6.383,51

ყველა აქ გამოცხადებულს და ყველ მათ, ვინც საერთოდ თავს იბეგრავს და ეხმარება ამ ჩვენს კნინ ქართულ საქმეს, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

- გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა: 1. უადგილობის გამო მომავალ ნომრისთვის გადაიღვა მნიშვნელოვანი სტატიები და ქრონიკები, როგორც სამშობლოს, ისე სათვისტომოს ცხოვრების შესახებ.
2. ამ წლის შემოდგომაზე ასი წელი სრულდება ჩვენს დიდი გრიგოლ რობაქიძის დაბადებიდან. სურვილი გვაქვს გამოვკეთო მისი თხზულებების კრებული. ყველას ვთხოვთ: ა) გვაცნობოს ვის რა გააჩნია მისი, ან მის შესახებ. ბ) გვაცნობოს ვინც მოსურნეა გრ. რობაქიძის თხზულებების შექმნის. დამატებით ცნობებს გაუწყებთ თავის დროზე.